

წელიწადი  
ჰირველი

ბუილისი  
1918 წ.

კვირა 29 დეკემბერი.



# საქართველოს ჯარში


საქართველო-პირველი შურნალი „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).

კვირიდან კვირამდე მარტო მარტო და მარტო მარტო რედაქციით.

შურნალი წლის დასაწყისში კვირა 5 მან., მარტო მარტო 1 მ. 50 მ.

შურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — შურნალი „რესპუბლიკის ჯარისთვის“. შურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. შურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.



## შ ი ნ ა ა რ ს ი:

- 1) საქართველოს გზა (მოწინავე) ვ. ნოზაძე.
- 2) ჯარში მუცლიანობის შესახებ ა. ბ.
- 3) საუბარი ჯარის კაცთან ივ. გომარათელი.
- 4) სამხედრო საქმიანობის რესპუბლიკაში ა. ხ.
- 5) იფორები ჯარში თ. ჩიქვანია.
- 6) საფრანგეთის მთავარი შტაბი.

- 7) წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წყაროებზე პ. ხაყვარელიძე.
- 8) კვირული მიმოხილვა ვ. შიშველი.
- 9) გლეხთა მოძრაობა სამურხაველიში ჰოდპ. იოსავა.
- 10) პრესა.
- 11) ქრონიკა და სხ.

# სამხედრო უზრუნველყოფის

## „რესპუბლიკის ჟარი“.

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში კრედიტული ლიცენზიის მქონე სახელმწიფო ბანკში)

### ოფიციალი განყოფილება.

#### ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 116

რადგანაც წმ. გიორგის სათათბიროს ზოგიერთი წევრი სხვა და სხვა მიზეზების გამო ადგილობრივ არ იმყოფება, წმ. გიორგის სტატუტის მე-20 პუნქტით სათათბიროს დამატებითს წევრათ ვინაშნაც მე-2 ქვეითა დივიზიის ბრიგადის უფროსს გენერალ-მაიორს ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ს.

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 117

მე-5 ქვეითა პოლკის მე-9 გუნდის უნტერ-ოფიცერის გიორგი შათირიშვილის და ამავე პოლკის მე-2 გუნდის ჯარისკაცების ალექსანდრე გზირიშვილის, ივანე სავიაშვილის და სანდალა საბაშვილის ყოფილს მანთაშვიის წისკვილში სადარაჯოდან მოხსნის დროს, მივიდნენ მათთან ვილაცოთხი უცნობი ბოროტგამზრახველები და შეაძლიეს 450 მ., რათა აღნიშნულ ჯარისკაცებს მათთვის ხელი არ შეეშალათ რამოდენიმე ტომარა ფკვილის საწყობიდან გატანაში. ყოველივე ეს მოახსენეს მორიგ ოფიცერს, კაპიტან კაბულიშვილს, რომელმაც მკისვე მოახდინა ფიცხელი განკარგულება, ვინაიდან საქმე დაყოვნებას არ ითმენდა, და შემოთ აღნიშნულ ჯარისკაცებს მოუშატა მგორე გუნდის ჯარისკაცი ვიგლა ბაიბუროვი და უფროსათ დაუნიშნა უნტერ-ოფიცერი გიორგი შათირიშვილი, და დაავალა ბოროტგამზრახველთა დაპატივრება. დავალება პირნათლათ იქნა შესრულებული და ოთხი უცნობი ბოროტგამზრახველი დაპატივრებულ იქნენ, მესუთე კი მიიძალა და მისი დაპატივრება ვერ მოხერხდა. ბოროტგამზრახველები, როგორც თვით მათ ზეინებიდან სხანს, აღმოჩნდნენ: გრიგოლ სარგვიანი, სარკის ოსკანოვი, დიპიტრი ქუშპურიძე და პეტრე პუბლიაკოვი. უღრპეს მადლობას ვუცხადებ უნტერ-ოფიცერ გიორგი შათირიშვილს და ჯარისკაცებს ალექსანდრე გზირიშვილს, ივანე სავიაშვილს, სან-

დალა საბაშვილს და ვერცხვე ვიგლა ბაიბუროვს მათი სინილისიერათ და პირნათლათ თავის მოვალეობის აღსრულებით.

საქართველოსათვის დასაძინებელი არიან ასეთი თავდადებული და თავის მოვალეობის პირნათლათ და შეუბლაღველათ აღმასრულებელნი ამ განწირულ ეაშს, იმ დროს, როდესაც ზენ მეგობარა ნაკლებათ გეყავს და პეტრი ბევერი. სასიამოვნოა, რომ ქართველ ჯარისკაცში კიდევ დარჩენილა საუკუნოებით გამოჭედილი და გაკარებული პატიოსნება, მამაცობა და ვაჟკაცობა, მოვალეობას პირნათლად აღსრულება და საშობლოს საკეთილდღეოთ პირადის ინტერესების ზვარაკათ მიტანა მის საკურთხეველზედ. უღრპეს მადლობას ვუცხადებ აღნიშნულ ჯარისკაცებს, რათა მათ შეუვინებლად, უმწიკლოთ და წმინდათ შეინახეს ქართველი ჯარისკაცის სახელი.

20 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 118

დაარსებულ იქნახ: ქალაქ ახალციხეში სასურსათო მალაზია, სახარჯო სასურსათო მალაზიის შტატებით.

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 119.

ამასთანავე ვაცხადებ ზემან დამტოვებულ სველე შტაბის დროებით შტატებს.

სამხედრო მინისტრი გ. გიორგიძე  
დამატება ბრძანებისა რესპ. ჯარების მიმართ № 119.

17 დეკემბ.

### დროებითი შტაბი

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის სველე შტაბისა.

სარისხოსანთა სხებულ- წოდება.	რიც- ხვი ბარისბ.	რიც- ხვი სქენე- ბასა	შენიშვნა:
ჯარის სარდალი, ლენერალი (შეიძლება იქნეს ლენ.-მ. ან ლენერ.-ლ.) მასთან აღიუტანტი, ობერ-ოფიცერი	1	2	
	1	1	

<b>საველე შტაბი.</b>		
შტაბის უფროსი ღენერალ-მ. გენერალურ შტაბისა . . . . .	1	2
ობერ-ოფიცერი განყოფილ. განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი გენერალურ შტაბისა . . . . .	1	1
თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . .	2	2
შწერალი . . . . .	2	—
<b>სამწვერავო განყოფილება.</b>		
განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი . . . . .	1	1
თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . .	1	1
შწერალი . . . . .	1	—
თარჯიმანი . . . . .	1	—
<b>კავშირის განყოფილება</b>		
განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი . . . . .	1	1
თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . .	1	1
შწერალი . . . . .	1	—
<b>მანძობილობისა</b>		
ობერ-ოფიცერი . . . . .	2	2
<b>საკომენდანტო ნაწილი</b>		
კომენდანტი, შტაბ-ოფიცერი . . . . .	1	1
შწერალი . . . . .	1	—
<b>საველე შტაბთან იმყოფებიან</b>		
მორბედი ოფიცერთა და მათ ცხენებისათვის . . . . .	15	—
მხარშველი . . . . .	2	—
მესაწიკავე . . . . .	4	—
<b>საზიდლები და მათ ცხენები</b>		
ორთვალე . . . . .	2	—
სალაშქრო სამხარეულო . . . . .	1	—
ცხენი . . . . .	4	—

<b>სულ</b>		
ღენერალი . . . . .	2	—
შტაბ-ოფიცერი . . . . .	4	—
ობერ-ოფიცერი . . . . .	7	—
შწერალი . . . . .	5	—
ჯარის კაცი . . . . .	21	—
<b>ცხენები</b>		
საჯდომი . . . . .	15	—
სასაწიკავე . . . . .	4	—
<b>საზიდლები</b>		
ორთვალე . . . . .	2	—
სალაშქრო სამხარეულო . . . . .	1	—

21 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.  
№ 120

ვაცხადებ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების ყველა ჯარისკაცთა და ოფიცერთა საგულისხმოდ, რომ ფრონტიდან ან საზოგადოდ ჯარის ნაწილითგან გაქცეულნი, თავის უფროსის

საბრძოლო ბრძანების არ შემსრულებელნი და უცვლა ისინი, ვინც ჯაშუშობას და სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციას გასწევს სიკვდილით დასჯებიან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.  
23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.  
№ 121.

ვუბრძანებ სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსს დაუყონებლად შედგენილ ჰყოს ახალციხის ადგილობრივი საავიაციო ფო 50 ლოგინით, თანახმად არსებული შტატებისა (შტატების კრებული, წიგნი 4, გამოცემა 1914 წ.)

23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.  
№ 122.

ახალციხის და ახალქალაქის მხარების გენერალ-გუბერნატორი გენერალი მაყაშვილი განთავი სუფლებულ იქნას აღნიშნული თანაშემწეობიდან და ევალეზოდეს მას შოლოდ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა აღნიშნულ მხარეებში.

ცნობა: ბრძანება რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა № 62.

23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი  
№ 123.

ბორჩალოს მხარის გენერალ-გუბერნატორი გენერალი წულუკიძე განთავისუფლებულ იქნას აღნიშნული თანაშემწეობიდან და ევალეზოდეს მას შოლოდ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა ხსენებულ მხარაში.

ცნობა: ბრძანება რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა № 60.

20 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისში  
№ 124

§.  
ხელახლად ვადასტურებთ რომ ყველა მოთხოვნილება შესაბამ საავტომობილო სხვა და სხვა ქონებისა, ავტომობილის ნაეთველობათა და ზეფელობათა, მასალისა, ყველა ჯარის საავტომობილო ქონებისა, სათადარიგო ნაწილები, კაშვრები, საბურავები და სხვ. და სხვ. მანქანების სამუშაოდ დანიშნისა, საჯარო სამხარეულოებებმა, შტაბებმა, ჯარის ნაწილებმა და უფროსმა პირებმა უნდა მიმართონ საინფერო სატეხნიკო სექციას და არა საავტომობილო გუნდის უფროსს.

24 დეკემბერი 1918 წ.  
№ 125

თოფ-ტყვიის-მურტყვევლთა ცალკე რაზმი დაშლილ-არს ა/წ. ნოემბრის 15-დან.  
ცნობა: გენერალურ შტაბის განყოფილების საირტილერიო სექციის უფროსი პატაკი.  
სამხედრო მინისტრის მაგიერი  
გენერალ-მაიორი მდივანი.

**ბ რ ძ უ ნ ე ბ ბ**

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

28 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი.

№ 185.

**დათხოვნილი არიან ქვეითა ჯარის სათადარიგოდ:**  
**ოზურგეთის მაზრაში:** ყოფილის ბათუმის შრომული პოლკის შტაბს-კაპიტანი დონტი; ყოფილის მე-8 კავკასიის შრომული პოლკის შტაბს-კაპიტანი შამალაძე; ყოფილის მე-2 ქართული შრომული პოლკის პორუჩიკი ურუშაძე სამშონი; ყოფილის ქართული სასანიტარო შავი ზღვის ბატალიონის პორუჩიკები: ჯაბუა და თავაძე; ყოფილის პირველ ქართულ შრომული პოლკის პოდპორუჩიკები: შალიაშვილი ლეონიდი და ჯიბლაძე გერმანე; ყოფილის მე-2 ქართული შრომული პოლკის პოდპორუჩიკი ვაცციბერიძე; ყოფილი მე-4 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი: მარულაძე ალექსანდრე, დოლიძე დიმიტრი, სტეპანია ალექსანდრე, ინჭორველი ისააკი, ნინიძე, მენაბდე ვლადიმირი, ერქვაშვილი ალექსანდრე, ლუჯიშვილი საბა, მეჯირი მიხეილი; ყოფილის მე-97 ქვეითა სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ლომინაშვილი მელიტონი; ყოფილის მე-2 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკები: ფირცხელაიშვილი კოსტანტინე, შაბარაძე ილარიონი, გობრონიძე დიომიდი, დობორჯგინიძე ანდრია, სვანიძე კირილე; ყოფილის მე-10 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკები: დოლიძე ვიორჟი; ბილიბოძე; ყოფილის მე-11 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი ჯაყელი; ყოფილის ქართული სათადარიგო ბატალიონის პრაპორშჩიკი ცვინიძაძე ილარიონი; ყოფილის ბათუმის ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი ცინცაძე ნიკოლოზი; ყოფილის მე-5 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი მხაიძე არისტარქი; ყოფილის ქართული სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი მხაიძე; ყოფილის მე-9 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი შაბარაძე ივანე; ყოფილის მე-12 ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი ჯიბუტი სერგეი; ყოფილის 1-ლ ქართული შრომული პოლკის პრაპორშჩიკი ქაღვიშვილი ალექსანდრე; ყოფილის ქართული რეფიცია რაზმის პრაპორშჩიკი შავიშვილი ვიორჟი; ყოფილის 1-ლ ქართული სათადარიგო პოლკის პოდპორუჩიკი მითაიშვილი ლადიშვილი; ყოფილის მე-8 კავკასიის სამხედრო-ფეხების რაზმის პოდპორუჩიკი ბიბიჯურა; ყოფილის მე-2 ქართული შრომული პოლკის პოდპორუჩიკი ტეიშვილი დავითი.

29 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი

№ 186.

**დათხოვნილია** სამსახურიდან, თანამედ თვისი სურვილისა, გენერალურ შტაბის განყოფილების ჯარის შევსების ნაწილის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი გრუზინსკი.

30 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი

№ 187

**მოივლინება დროებით:** სოხუმის ოლკის სამხარტელოს ყოფილი თავჯდომარე კოლეცკი სოვეტნიკი დავიდიანი ივანე - რესპუბლიკის ჯარის სამხედრო სასამართლოში სამხედრო მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებლად, მისი თანამდებობის ჯამაგირით.

**მოივლინება:** მე-5 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ქარცივაძე სამხედრო სამინისტროსთან, საკომუნდანტო სექციის შ. არშიის საარტილერიო ბრიგადაში შტაბს-კაპიტანი გორაჯივისი.

30 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი.

№ 188

**ავეანილია** კაპიტნის ხარისხზე, ქვეითა ჯარში, თათრებთან ბრძოლაში 1-ლ ასპირის 1918 წ. მოკლედი უფილის პირველი ქართული შრომული პოლკის შტაბს-კაპიტანი შავუელიძე სიმონი.

30 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი.

№ 189

**ინიშნებიან:** სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსი დეიტეტიკონი სტატსკი სოვეტნიკი მგელაძე მე-2 ქვეითა დივიზიის სასანიტარო ექიმად.

სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწე სტატსკი სოვეტნიკი ალექსი მესხიშვილი იმავე განყოფილების უფროსად.

მე-2 ქვეითა დივიზიის სასანიტარო ექიმი-სტატსკი სოვეტნიკი აბულდიანი სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე

გენერალ მაიორი მდივანი

28 ნოემბერი 1918 წ. კ. ტფილისი.

№ 190

ჯილდოვდებიან წმინდა ვიორჟის ჯვრებით ან წლის 12 ივლისის ბრძოლის ბილით და ბათუმის დაცვის დროს მომხდარ მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

№№	ნაწილი	წოდებულა	№№ ჯვრებისა	სახელი და გვარი
1	მე-2 ხაბრტლერი ბრიგადის 1-ლ ბატარ.	მე-2 ხაბრტლერი ბრიგადის 1-ლ ბატარ.	მე-2 ხაბრტლერი ბრიგადის 1-ლ ბატარ.	ნოსელიანი ნიკოლოზ
2	"	მომხანდირი	264872	აგლაძე დავითი
3	"	კონიარია	264863	მღარაძე კონსტანტინე
4	"	"	264861	ელიაშვილი ნუგაზი
5	"	"	264862	ამირაჯიბი დიმიტრი
6	"	"	264893	შაბარაძე შალვა
7	"	"	264891	ერისთავი შალვა
8	"	მომხანდირი	მე-4 ხაბრტლერი	ნარსია
9	"	"	"	გოციბოძე პეტრონი
10	"	კონიარია	"	ჯანიკაშვილი ალექსანდრე მამულაიშვილი ივანე
11	მე-3 ცხენოსან პოლკისა	მე-3 ცხენოსან პოლკისა	მე-4 ხაბრტლერი	ნარსია

1 დეკემბერი 1918 წ. კ. ტფილისი.

№ 191

**ავეანილია** ნაშახურობისათვის შტაბს-კაპიტნის ხარისხზე, ქვეითა ჯარში, მე-2 ქვეითა პოლკის პორუჩიკი ივკოვი ნიკოლოზი, უფროსობით 10 აგვისტოვან 1912 წ.

1 იანვარი 1918 წ. ქ. ტფილისი  
№ 192

ჯილდოვებთან წმიდა გიორგის ჯვრებით ამ წლის 1-ლ ნომერში მომხდარ მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

№№	სახელი	წოდებულობა	№ ჯვრებისა	ჯვარი და ხაზული
1	ჯავახიანი პეტარებლ. № 1.	წმ. გიორგის ჯვრ. მე-1 ხარისხი	265062	ვოჯავა ალექსანდრე
2	„	მის თანა-შემწე	265067	ვოჯავა გიორგი

2 ნომერი 1918 წ. ქ. ტფილისი  
№ 193

აყვანილია პოლკოვნიკის ხარისხზე; სანაპიროში თავის გამოჩენისათვის ქვეთა ჯარში, ქუთაისის მხარის სამხედრო უფროსი, პოლკოვნიკი ანჯაფარიძე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი**

რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო ხარისხობათ შეახებ

27 ნომერი 1918 წ. ქ. ტფილისი.  
№ 181

ინიშნება: ტფილისის საღარაჯო რაზმის უფროსად პოლკოვნიკი კალე ტფილისის მხროლვე ბატალიონის, ფურცლად.

დატოვებულია: შტატის გარეშე მიღებული ყოფილ ქართული უნტერ-ოფიცრის სკოლასთან კაპიტანი ზღაპრაძე

28 ნომერი 1918 წ. ქ. ტფილისი  
№ 182

ინიშნებანი: პორუჩიკი ფურელი გარის მხარის სამხედრო უფროსის თანაშემწე.

საქმის მწარმოებლად გარის მხარის სამხედრო უფროსის სამმართველოში მე-6 ქვეთა პოლკის შტაბს-კაპიტანი ჩიკოძე და ვებერნსკი სერგეი კურაკოვი.

28 ნომერი 1918 წ. ქ. ტფილისი  
№ 183

დათხოვნილია სამხატრიდან: სანაპირო ბატალიონის პრაპორშჩიკი ბელაშვილი ამ წლის 20 ნომერიდან.

სათადარიგოდ, ტფილისის მხარაში, საინჟინერო ჯარში: საავტომობილო გუნდის შტაბს-კაპიტანი ოქროპირიძე ამა წლის 20 ნომერიდან.

დამატებით ბრძანებისა ამა 16 ნომერიდან № 165 სამხედრო ხარისხობათ შესახებ, საადმინისტრაციო განყოფილების მოხელეების ახრახანის და მაქავერიანის შესახებ, პირველი ითვლებოდას. სამხატრიდან დათხოვნილად და მეორე მინდობილობათათვის მოხელედ დანიშნულად ამა წლის პირველ ნომერიდან.

გარიცხულია: საინტენდანტოს მიძღებ კომისიიდან ჯარის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სვანაძე.

28 ნომერი 1918 წ. ქ. ტფილისი.  
№ 184.

დათხოვნილი არიან ქვეთა ჯარის სათადარიგოდ: ტფილისის მხარაში: ყოფილი რუს-გერმანული მხროლველი პოლკის, პორუჩიკი ჩიხუ; ყოფილის მე-4 ქართლის

მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი თხუბარჯი; მიღებული სამხედრო საშინებროს პორუჩულ შემადგენლობის განყოფილებასთან პოლკორუჩიკი ვანაძე; ყოფილის მე-12 ქართული მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი მისხუაძე; ყოფილის მე-10 ქართული მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი კვეციანი; სანაპირო ჯარების პოლკორუჩიკი კრიკორიანი; ყოფილის რუს-გერმანული პოლკის პოლკორუჩიკი ვილკოვი; ყოფილის მე-6 ქართული მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი მიჭელიძე; ყოფილის მე-6 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკები: ბარნაბიშვილი და ბარათაშვილი; ყოფილი მე-9 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი გვედციანი; ბათუმის პარტიზანულ რაზმის პრაპორშჩიკი ჩამაყაძე; ყოფილის მე-5 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი რეზიაშვილი, ყოფილის მე-10 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკები ხუბუა და ცქიტიშვილი.

თელავის მხარაში: ყოფილის მე-2 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი კინაძე; ყოფილის მე-4 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი ნარკელიშვილი.

ღუშეთის მხარაში: ყოფილის მე-9 ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი ფარეხაშვილი; სანაპირო ჯარების პრაპორშჩიკი ჩოინიშვილი.

გარის მხარაში: ყოფილის მე-4 ქართული მხროლველი პოლკის პორუჩიკი შატბერაძე; ყოფილის მე-110 სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ნადუნელი.

შორაპნის მხარაში: ყოფილის მე-5 ქართული მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი ჩანკოტაძე; ყოფილის სამხედრო სექციის ჯარის მომარაგების განყოფილების პოლკორუჩიკი ანთაძე.

სენაკის მხარაში: ყოფილის 1-ლ ქართული მხროლველი პოლკის პრაპორშჩიკი დიხოჯუა; მანკლისის სანაპირო რაზმის პრაპორშჩიკი ქაჭუჭია.

სიღნაღის მხარაში: ყოფილის მე-6 ქართული მხროლველი პოლკის პორუჩიკი ოქროპირიძე.

ქუთაისის მხარაში: ყოფილის მე-2 ქართული მხროლველი პოლკის პოლკორუჩიკი კვანტალიანი.

საქმედრო მინისტრის შაგიერ  
წევრალ-შაიორი მდივანი.

**არა ოფიციალური განყოფილება**

საქართველოს გზა.

საერთაშორისო ქართველობის დროს, იმ დროს, როდესაც დიდი რუსეთი თავის სახელით დანგრეული იყო;

იმ დროს, როდესაც პირდაპირი სისხლიანი ომ-მალეთი ჯარს ჯარზე აგზავნიდა და პატარა საქართველოს ცეცხლითა და მახვილით უპირებდა განადგურებას, — როდესაც ბრძოლის ველზე მარტოდ მარტო, დაშხარე ხეობ მოკლებული იდგა საბრძოლველათ გამოსულ ქართველი დემოკრატია, რომელიც თავის სამხედრო ძალით მაშინ შეტათ სუსტი იყო, იმ დროს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ რესპუბლიკას. საერთაშორისო ქართველობის დროს, როდესაც ნგრევა-არღვევის პროცესი ელვისებური სისწრაფით სწარმოებდა — იშვა ხალხის ნებით საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რეს-

პუბლიკა და პირველი მისი ხმა უბედურება-სცხლ-სისხლის ღერის ბატონობის დროს იყო მშვიდობიანობისა და კეთილ მეზობლობისადმი მოწოდების ხმა. 26 მაისის აქტში გამოიხატა საქართველოს პოლიანი მისწრაფება და სულისკვეთა. აქ გაისვენა დემოკრატიის ნება და ყველას მიღრგელებდა

26 მაისის პირველი მუხლი ამბობს: ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა-დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამგვარათ: საქართველო უნდა იქნეს დამოუკიდებელი. ამას უნდა სცნობდეს ყველა და მასთან ყველას საქმე უნდა ქონდეს. როგორც სრულუფლებოვანება და დამოუკიდებლობა მტკიცეთ მოითხოვს, რომ მის საქმეებში არაფერ ჩაერიოს და დაუკითხავათ ხელის ფათური არ დაიწყოს. ამ მხრივ დამოუკიდებლობის განმტკიცება დაცვა უპირველესი საქმეა. ყველა გულწრფელი მოქალაქე, ნამდვილი დემოკრატი უნდა სცდილობდეს და თავის ენერჯიას ამ დაცვაზე უნდა ხარჯავდეს. რადგან დამოუკიდებლობის დაცვა ეს ქვეყნის დაცვაა, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება-შენარჩუნებაა. დამოუკიდებლობა და დემოკრატიზმი ერთმანეთთან მჭიდროთ არის დაკავშირებული და ვინც მოისურვებს ერთ მათგანს ლახვარი ჩასცეს, ამით იგი ძირსა სცემს და ხრამში სწვს საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის დემოკრატიულ რესპუ-

ბლიკას. დამოუკიდებლობის მტერი დემოკრატიზმის მტერია. დემოკრატიზმისა და რესპუბლიკის მტერი დამოუკიდებლობის მტერია. ამიტომაც საქართველოს პოლიტიკა იქით არის მიმართული, რომ ამგვარ მტერთ შესაფერი პასუხი გასცეს და ეს შესაფერი პასუხი კი იმაში გამოიხატება, რომ იგი ძლიერათ იცავს, როგორც თავის დამოუკიდებლობას, ისე დემოკრატიულ წესწყობილებას.

საქართველოს არ შეუძლია ისეთი პოლიტიკა აწარმოოს, რომელის ნაყოფიც იქნება სხვისი დაზავება ან სხვასთან გამანადგურებელ და დამღუპველ პოლიტიკის წარმოება. დემოკრატიზმი აუცილებლათ მოითხოვს ერთობასა და კეთილგანწყობილებას. ამიტომაც შემოხსენებულ აქტის ორ პირველ მუხლს თანახლავს: 3. საერთაშორისო ომანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. ასეთი არის საქართველოს უდრეკი სურვილი. იგი მზათაა და სცდილობს ყველასთან შეგობრული და მეზობლური განწყობილება დაიჭიროს. როცა შემთხვევა იყო კონფლიქტისა, მაშინ მთელი ენერჯია იხმარა საქართველოს მთავრობამ რომ საქმე მშვიდობიანი გზით დასრულებულიყო და სისხლის ღერა აეცილებია. ამას მან მიაღწია და მომავალშიც ამ გზაზე მტკიცეთ წავა. ვინც

## საუზარო ჯარის-კაცთან.

### III.

აი ამ წამს, ჯარისკაცო, მედა შენ რომ ვსაუბრობთ, მთელს საქართველოში შენ ყველაზედ ბედნიერი ადამიანი ხარ. შენ გაოცებული მიყურებ, გიკვირს, არა? დიახ. მე კიდევ გაგიშვორებ, ათასჯერ გაგიშვორებ, რომ შენ დღეს უბედნიერესი ადამიანი ხარ საქართველოში.

#### რატომ?

პირველი იმიტომ, რომ შენი დიდების დღე დადგა: მუხანათი მტერი უკანიდან მოგეპარა, რადგანაც პირდაპირ, რაინდულათ მოხელა მან ვერ გაბედა.

შენი უნდა დაუმტკიცო მტერსაც და მოყვარესაც რომ ქართველი ჯარისკაცი კლდე და ფოლადია მაშინ, როდესაც ის იცავს თავის სამშობლოს და თავისუფლებას.

რესპუბლიკის იმედო, სამშობლოსა და თავისუფლების საყვარელო დარაჯო! თუ აქამდინ გვეიქონდათ, დაე, დღეიდან გაიგონ შენი თავისუფლე-

ბის, შენი მიწაწყლის, შენი გაადაშიანების მტერმა და დუშმანმა, რომ შენს გულში ძლიერ სიყვარულთან ერთათ ძლიერი სიძულვილიც არის და ვაი მისი ბრალი, ვინც შენს სიძულვილს დაიშახურებს.

მეორე - იმიტომ ხარ ბედნიერი, რომ მთელი საქართველო, და რის საქართველო - მთელი ქვეყანა დღეს შენ შემოგჩერებია.

დღეს უნდა დაამტკიცო შენ, ხარ თუ არა ღირსი ატარო სახელი რესპუბლიკის მოქალაქისა.

რესპუბლიკის მოქალაქე, ზემო კარგო, იცოდე დიდი საპატიო სახელია.

და ამ სახელის ღირსი კი, ვახსოვდეს, შოლოდ ის არის, ვინც თავისი მკერდით, თავისი მკლავით იცავს ამ რესპუბლიკას ყოველგვარი მტრისაგან.

რესპუბლიკა შენ გენდო და შენ უკვე დაამტკიცე, რომ ღირსი ხარ ამ ნდობისა.

ქართველი ერი დღეს შენ შემოგყურებს განსაკუთრებულის სიყვარულით. ზენი ჯარის ხსენებაზედ მთელი ზენი პარლამენტი ისე გრიალებს,

უნდა მოვიდეს საქართველოსთან, ვისთანაც საქმე უნდა დაიჭიროს მან, — პოლიტიკა მხოლოდ ერთია და ეს ერთად ერთი გზაა: 4. სწორ უფლებიანობის ნიადაგზე მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცება ყველასთან, რომ ამით საქართველოს საშვალეობა მიეცეს თავისი უნარი და ძალა თავის ხალხის, ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ და განვითარებისათვის აამუშაოს. მაგრამ საქართველოს პოლიტიკა მარტო თავის ხალხზე, ქართველებზე არ ზრუნავს, მისი მუშაობა მარტო ქართველობით არ განიფარგლება, ის ვიწრო არ არის. საქართველოს პოლიტიკა ყველას თანასწორობა და უფლებიანობა. ჩაგვრა და დევნა მისი საქმე არ არის. პირიქით, აქტის მიხედვით: 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორათ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა. 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ფრს. ასეთი არის მისი დემოკრატიული ისტორიული განცხადება. მაგრამ ეს ცარიელი დაპირება არ არის, ესაა საქმე, რომელსაც აკეთებს საქართველოს მთავრობა, ესაა დემოკრატიული პოლიტიკა, რომელსაც ანხორციელებს იგი ცხოვრებაში. თავისუფლების, დემოკრატიზმის განამტკიცება ყველას თანასწორ უფლებიანობის დაცვა — თავი საქმეა.

როგორც ერთი კაცი. ისმის ყველა სკამებზე დაუსრულებელი მჭუხარე ტაში.

და ეს აღტაცება, ეს სიყვარული არის ნამდვილი ხალხური სიყვარული ხალხური აღტაცება.

ჩვენი პარლამენტი გამოჰხატავს მთელი ქართველი ხალხის გრძნობასა და სურვილებს და ქართველი ხალხის სული და გული შენ დაგტრიალებს გარშემო, შენთან არის დღეს განუყრელათ.

ვაშა, ჩვენო რაინდო, ღირსეულო დარაჯო სამშობლოსი და თავისუფლებისა!

მტერი ჯერ კიდევ არ დამარცხებულია. ის ვერაგია, გაუტანელი. იგი ისე უნდა დაამარცხო, რომ სამუდამოთ მოისვენო და მუდამ იმის მოლოდინში აღარ იყო, აი აგერ დამეცემა თავს, აი აგერაო. შენ იცი, ვინ ხელმძღვანელობს ამ მტერს.

სომხებმა თვისი ბედი ისეთ ადამიანებს ჩააბარეს, რომლებს ხელობა მუხანათობაა, ლალატი, დარბევა, აწიოცება და ხოცვა ელეტაა.

მეგობრულაჲ, მეზობლურათ ცხოვრება მით ვერხად და ვერავისთან ვერ მოაბერებს.

სადაც კი შედგეს ფეხი, ყველა გადიმტერეს.

ექვს თვეზე მეტია, რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და არ ყოფილა არც ერთი უბრალო მცირე შემთხვევა კი, რომ საქართველოს პოლიტიკა თავის დემოკრატიულ გზიდან გადახრილიყოს. საქართველოს მთელი ენერჯია სწორეთ იმაზე იხარჯება, რომ ეს პოლიტიკა სავსებით განხორციელდეს და განმტკიცდეს და ყველას მოვალეობაა, წმინდადღედებულეობა ამ დემოკრატიულ გზაზე მსვლელობაში საქართველოს მთავრობას მხარში უდგეს და მასთან ერთად ისწრაფოდეს ამგვარათ საქართველოს ხალხს კეთილდღეობა მიანიჭოს. საქართველოს პოლიტიკის გზა ერთად ერთი სწორი და მისაღები გზაა და მხოლოდ ამ გზით გამოიქვდება ქართველი ხალხის და მასთან თანამცხოვრებ ყველა ერის ბედნიერება.

და თუ ვინმემ არ მოისურვა ჩვენი ცნობა; თუ ვინმე წინ გადაგველობა და ჩვენი დაღუპვა მოისურვა, — მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე უნდა აღსდგეს თავის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავათ.

საქართველოს ხალხს სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ მას უფლება აქვს თავისი დაიცვას და მის დაცვას თავიც შესწიროს.

3. ნოზაძე.

ყველგან სისხლის ღვრა და ხოცვა-ელეტა დაატრიალებს.

ქართველმა ხალხმა კი თავისი ბედი ისეთ მთავრობას ჩააბარა, რომელიც მშვიდობიანობას, ძმობასა და ერთობას იცავს, მეზობლობას და მეგობრობას.

სომხების მთავრობამ რა მისცა სომხის ხალხს? სრულეებით არაფერი.

სომხის გლეხკაცობას, მშრომელ ხალხს მან არც მიწა მისცა, არც თანასწორობა, საშაგიერთ მტრები გაუპრავლა და მოყვარეც კი მტრათ გადაქცა.

ჩვენმა მთავრობამ კი წოდებები გააუქმა და ყველა გაათანასწორა: ჩვენს რესპუბლიკაში დღეს ყველა თანასწორი მოქალაქეა, — ძველი თავადი, ძველი გლეხი, ძველი ბატონი, ძველი ყმა.

ჩვენმა მთავრობამ უკვე დაასრულა მემამულეების მიწების ჩაპორთმევა და დღეს თუ ხვალ კანონით დაუმტკიცებს სოფლის მუშა ხალხს ამ მიწებს.

აი ყოველივე ეს უნდა გაგეთეხია თავისი

**ჯარში მეცადინეობის შესახებ**

**1 საკითხის ხიზნული**

ჯარში სწორედ და კარგად მეცადინეობის მოწყობის საკითხი მეტათ რთული და თან ძირითადი საკითხია. პირველი შეხედვით იტყვიან, რომ ეს არც ისე ძნელი საქმეა. მაგრამ სინამდვილეში კი ხშირათ მეტათ დიდ დაბრკოლებებს ხვდებით. ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითთა ძლევეს ყოველგვარ საშვალეებს ივისთვით რომ ჯარში მეცადინეობა მიზან შეწონილათ და შესაფერისათ მოეწყოს. იგი სცემს თანადროულ წესდებებს და ოფიციალ დადგენილებებს მეცადინეობის წასაყვანათ. იგი იპუშავებს მეცადინეობის წლიურ გეგმას, სხვა და სხვა პროგრამას და გგონიათ რჩება ხელქვეითთათვის მხოლოდ უბრალო მოსაზრება გაანაწილოს მეცადინეობა, რომ გაიაროს მთელი პროგრამა, რაც ნათლად არის გამოარკვეული და მოთხოვნილი ჯარის უმაღლეს ხელმძღვანელთა მიერ, მაგრამ არც ისე ადვილია ამის დაძლევა. პირველ ყოვლისა, რომ გაერკვიოთ სახელმძღვანელო ოფიციალურ მასალაში, საჭიროა იყოთ თეორიულად და პრაქტიკულათ საშეწრო საკმის მყოფნი. მეორე მხრივ, სამსახურის პირობები ისეთი შეუფერებელი ხდება ბოლმე რომ ხშირათ პასუხის მკვებელი უფროსები გულზე ხელდაკდობულნი რჩებიან. მეტად ცუდ გავლენას ახდენს მეცადინეობაზე ყოველგვარი მორიგეობა, რომელსაც მოითხოვს შინაური და საგარეოზონო

სამსახურის წესდება, და ყოველნაირი მივლენილობა, თუ არ იცით ან არ გსურთ უკანასკნელად შეამკიროთ ჯარის-კაცების გავზავნა, ხშირათ ხდება რომ რაზმი ან ესკადრონი მხოლოდ ქალაქდზე რჩება აღნიშნული და მეცადინეობა კი ვიღასთან შეიძლება?

ეს მიზეზებიც რომ არ მივილოთ მხედველობაში, ტუხნიკა იმდენათ განვითარდა და საშეწრო საკმე მითი იმდენათ სარგებლობს, რომ ჯარისხელში მოთხოვნილება მეტათ გიზარდა და გართულდა ეს იმ დროს, როდესაც ჯარში სამსახურის ვადა შემკირებულია. უნდა იყოთ მეტათ გამოცდილი და მყოფნი უფროსი, რომ მეცადინეობის წარმოების საკმე წაიყვანოთ, ისე, რომ თანამედროვე ომისათვის ჯარი მოაშხალო.

**2. მეცადინეობის წარმოების საკითხის გამოარკვევა**

ჯარში კარგი მეცადინეობის წარმოება შეუძლიათ მხოლოდ იმ პასუხისმკვებელ უფროსებს, რომელთაც შეგნებული აქვთ საკმის არსებითი მხარე. ბრძოლის უნარიან ჯარის შესაქმნელათ პირველათ ყოვლისა საჭიროა შეიქმნას მაღალ ზნეობრივ თვისებების მებრძოლათ, რომელიც განსწავლული იქნება თავისი საკმით და მეორეთ, აზგვართ ცალკალკე მოაშხადებულ მებრძოლთ შეაჩვიონ ერთად მოქმედება სხვა და სხვა რიგში და წესში. მაშასადამე, ზნეობრივ თვისებების გასაფითარებლათ, ჩვენ უნდა აღვზარდოთ მხედარი და მის გასაწვრთნელათ კი უნდა გავანათლოთ იგი. ცხადა: ჯარის მოაშხადებაში

ხალხისთვის სომხის მთავრობას, თუ მართლა მას შრომელი ხალხისათვის შესტიოდა გული. ამის მაგიერათ მან წამოიყვანა ჯარი და ქურდულათ დაესხა თავს ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ჯარს.

და რომ მართლა გავწყურომოდა განგება და ასეთ მთავრობას გაემარჯვა, რა მოუვიდოდა ჩვენს ხალხს?

მიწასაც დაქარგავდა, თავისუფლებასაც, თანასწორობასაც და სომხის ჩარხ-ვაკრებისა და მღვდლების მონა გახდებოდა.

აბა შენ თვითონ ჩაფიქრდი, ჩემო ჯარის კაცო: სომხების მთავრობამ თავის ხალხს არ მისცა არც მიწა, არც თანასწორობა და თავისუფლება და ჩვენს ხალხს მისცემდა?

რა პასუხია!

და როდესაც შენ ებრძვი ასეთ მტერს, შენ მარტო რესპუბლიკას კი არ იცავ, შენ იცავ თავისუფლებას, შენ იცავ თანასწორობას, შენ იცავ საქართველოს მთელი შრომელი ხალხის ბედობაღს და მომავალს.

რას აკეთებდა ჩვენი მთავრობა ამ ექვსი თვის

განმავლობაში, რაც საქართველო დაპოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს?

მფიქრობდა ის სისხლის ღვრაზედ?

არა, ამას ვერაფერ ვერ იტყვის.

ის ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წყობილებას ჩვენი შრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. და რადგანაც მან კარგათ იცოდა, რომ კეთილდღეობისათვის საჭიროა, აუცილებელია მეგობრობა და კეთილი განწყობილება მეზობლებთან, ის ცდილობდა, მეზობელ ერებთან ძმური, მეგობრული კავშირი შეეკრა.

რას აკეთებდა სომხეთის მთავრობა?

ქმნიდა ის ახალ ცხოვრებას სომხის შრომელი ხალხის საკეთილდღეოთ?

შრომელი ხალხი მას არ გახსენებია. მას იმდენათ უყვარს თავისი შრომელი ხალხი, რომ ოსმალეთში მთელი სომხობა ოსმალებს გააწყვეტია!

ის ეშხადებოდა, რაც ძალი და ღონე ქმონდა, რომ თავის მეზობელ ქართველებს, რომლებმაც ლტოლვილ სომხებს თავი შეაფარებეს, რომელთა მთავრობამაც საქართველოს მთელი სომხობა დაი-



ჩვენი მუშაობის მიზანია ჯარის-კაცის (და ახალგაზრდა ოფიცრების) აღზრდა და განვითარება.

მებრძოლის აღზრდის დროს ჩვენ მასში უნდა განვავითაროთ შემდეგი ზნეობრივი თვისებანი: მორჩილების გრძნობა, ესე იგი ყველა კანონისა და უფროსთა ბრძანებების ასრულება; პატრიოტიზმი, გრძნობა ანუ სიყვარული საშობლოსადმი, რომელიცეთილდღეობისათვის მან სიკაცხლეც უნდა გასწიაროს; სამსახურის მოვალეობის გრძნობა ანუ ყველავალდებულობის სინდისიც; თ ასრულება. სინდისიერების ამგვარივე მოთხოვნილება აუცილებლათ უნდა წაუყენოთ უფროსებს და ხელქვეითებს, ყველა ამზანავს და პასუხი უნდა მოეთხოვოს სასამართლოს ძალით ყოველგვარ ბოროტმოქმედებისათვის. ამზანავობის გრძნობა ანუ ურთიერთისათვის თავის განწირვა, სამართლიანობის და კაცობრიობის გრძნობა. ყველაფერი ეს შეადგენს ეგრეთ წოდებულ სამხედრო დისციპლინას ანუ სამხედრო აღზრდას, რასაც ამტკიცებს შინაური, დისციპლინარული და საგარე-ზონო სამსახურის წესდება. ამ წესდებათა მოთხოვნილება უნდა იყესბოდეს უფროსთა პირადი მაგალითით და ყოველ დღიურა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობით.

განმანათლებელ მუშაობას ეკუთვნის ცალცალკე თვითიველ ჯარისკაც-მებრძოლის მომზადება და საერთოდ მთლიანი მოქმედების შესწავლა და შემდეგ შესწავლა მწკრივში წესდების პრაქტიკული ცნობისა.

ფარა ოსმალთა მახვილით განადგურებისაგან, — იმის ეშვადებოდა, რომ ამ ქართველებისათვის ქურდულათ ზურგში ლახვარი ჩაესო, არც მგებობობა, არც მებობლობა, არც პურ-მარალი სომხების ვერაგ მთავრობას არა სწამს. მან ფებქვეშ გასთელა, ტალახში ამოსვარა ყოველივე. რაც შეადგენს ღირსებას ყოველი ერისას.

და შენ გეკითხები ჩემო ჯარის კაცო, ასეთმა მთავრობამ რომ ჩვენზე გაიმარჯვოს, რა დღეს დაგვაყენებს?

ის აიკლებს, ააოხრებს ჩვენს სოფლებს, არ დაინდობს არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებს. და ვინც ცოცხალი გადარჩება, ის უნდა გახდეს სომხის ჩარჩებისა და მღვდლების მონა მორჩილი. ვეფიცები, ჯარის კაცო, ამაზედ საპარცხეინო მონობა ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე. გწამდეს, ჩემო ძვირფასო, რომ ამაზედ საზიზღარი მტრობა ჯერ ჩვენთვის არავის უქნია.

მტერმა მახვილი ხელში აიღო რომ ბოროტება გააქეფოს ჩვენში.

შენ კი მახვილი აიღე ხელთ, რომ ბოროტე-

თვითიველ მებრძოლის ცალ-ცალკე მომზადება გამოიხატება ყოველგვარ იარაღის ხმარების ცოდნაში ესე იგი მემომარმა უნდა იცოდეს დახელოვნებულიათ სროლა, ხიშტის ან ხმალის კარგათ ხმარება და ცემა; ხელით სასროლ ასაფეთქებელ ყუბარების პარჯვეთ ხმარება და სხვა. კარგათ უნდა არკვედეს თვალით სივრცეს; შესაფერისათ უნდა თვალყურს ადევნებდეს ბრძოლის ველს და ყოველგვარი კავშირი უნდა ქონდეს მასთან; უნდა შეუფარდდეს ადგილს და მიილოსქოზოები გახვებით იეროშის, პროცეტორებით, დამაბრმავებელ სხივებით განათების, ჯავშნოსანთა და „ტანკების“ გამოჩენის წინააღმდეგ, რომ ბრძოლაში დანაკლისი აიკლოს; უნდა შეეძლოს დაუღალავათ და განუწყვეტლათ იერიშის დროს 300 ნაბიჯის გადარბენა ბრძოლაში იმავე დანაკლისის თავიდან ასაშორებლათ; ყოველ შემთხვევაში უნდა იცავდეს და ინახავდეს გაფუჭება-დაკარგვისაგან იარაღს და სხვა.

რაც შეეხება მის გაწრთენას ასეულში და სხვანაწილში, ამის შესახებ მოთხოვნილება აღწუსებულა წესდებებში და ოფიციალურ დარიგებებში და სხვა სპეციალურ სახელმძღვანელოებში, რომელთა შორის გამოჩენილი ადგილი უკავია გენერალ ლეშას წიგნას. მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი ცნობების მიღება შეიძლება მემომარ ჯართა შტაბების მიერ გამოცემულ საიდუმლო დარიგებებში, რომელიც იცემოდა ამ ომის დროს და მისი გამოცდილების მიხედვით. ამავე გამოცემებით უნდა ისარ-

მას სამუდამოთ გაუმგობრო გული და სიმართლისა და ძმობა ერთობის ტახტი გაამაგრო. მერწმუნე, ამ ბრძოლაში მთელი ქართველი ერი შენთან იქნება.

მოგვთხოვე ყველაფერი. გაგვალეზე ყოველგვარი მსხვერპლი სიმართლისა და ხაყვარელი სამშობლოს დასაცავათ.

შენ მტკიცეთ გასწი წინ და გაგვიყოლოე ყველა უკან. ვინც ლაჩარი, უგულო და ორპირი ნახო ჩვენში, ნუ დაინდობ. ყველა ვინც ასეთ ეამს შენთან არ იქნება, მტერია სამშობლოსი, დაძლუბველია მშრომელი ბაღისა.

დროშა სიმართლისა, დროშა თავისუფლებისა წინ მიგიძღვის, — იშიშვლე მახვილი შურის ძიებისა და შემუსრე ქვეყნისა და თავისუფლების მტერი.

ვაშა შენს ვაჟაკობას, ჩვენო ჯარის კაცო! დიდება შენს გმობობას, რაინდობას და თავგანწირულ ბრძოლას.

გებლოთ შერჩევით ნაწილების განსწავლის დროს. ამ მაცადინებომაში უნდა ისწრაფოდეთ ცალ-ცალკე განსწავლული მებრძოლნი შეაჩვიო ერთათ თანხმურ მოქმედებას ყოველგვარ მდგომარეობის დროს ოწში—ბრძოლის დროს, ლაშქრობის დროს, დასვენების და ჯარის დარაჯობის დაცვის დროს, კავშირის საშახურის და მხვერაგობის ასრულების დროს. ამ მაცადინებობის დროს ხელმძღვანელებმა ხელქვეითნი უნდა მიაჩვიონ თავის ნების მსწრაფლ და მიზანშეწონილ ასრულებას, და თვით უფროსეში მთელი ნაწილების გამგებლობასა და ხელმძღვანელობას. მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე ის, რომ მთელი ნაწილების ერთათ განსწავლას ჯარისათვის დისციპლინური მნიშვნელობა აქვს. რადგან ჯარში აპით ვითარდება უფროსის ნებისადმი ყურადღება, დამორჩილებისა და ასრულების გრძნობა.

ტაქტიკური მაცადინებობა, რომელიც ასრულოვნებს ხელმძღვანელთა შემადგენლობას, დაწყებული უნტერ-ოფიცრიდან და გათავებული გენერალით, როცა ხდება ველზე, იგი ტაქტიკურ და მოკიდებულობაში უნდა ავითარებდეს უბრალო მებრძოლის გონებასაც, რაია მან ყოველ შექმნილ გარემოებაში შესძლოს თავის გამოარკვევა და გაგება. ვითარება, გაკეთილო და ყოველგვარი მოქმედება ყველა ჯარის კაცს უნდა განემარტოს და აეხსნას.

თუ ზემოთქმულს დავუმატებთ, რომ თვითვეულ ცალკე ნაწილში უნდა ხდებოდეს სპეციალური მაცადინებობა: უნტერ-ოფიცრებისა და ახალგაზრდა ჯარისკაცთა მანსწავლებლებათ მოსამზადებლათ: მაცადინებობა მხვერაგვთა და საპიორთა ნაწილებში, რომელნიც უკანასკნელი ომის გამოკითილების მიხედვით უნდა შეიქმნას ქვეითი ჯარის პოლკებშიც, ისე როგორც ეს არის ცხენოსანთა პოლკებში ცხენოსან-საპიორების სახით; მაცადინებობა ტყვიის მფრქვეველთა ნაწილში სასანგრე განყოფილებით, და აგრეთვე უნდა მოეწყოს ტაქტიკური მაცადინებობა ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების ნაწილში, — ყველაფერი ეს გაგვიარკვევს, თუ რაში მდგომარეობს ჯარში მაცადინებობის საქმე.

საერთაწლო წერილში ყველა იმას ვერ ჩამოვსთვლით, რაც აუცილებელია ჯარისათვის, ყველა სავალდებულო ცნობა მოყვანილია შესაფერწესლებებში და დარიგებებში. ჩვენ მიუთითეთ მასზე არსებითად, რაც თვითვეულს შესაძლებლობას მისცემს იცოდეს რა მდენიმე სიტყვით, თუ რა საქმისაკენ მოუწოდებს მას პრავალი და დაწვრილებითი სახელმძღვანელო ცნობა და მოთხოვნილება ჯარის უმაღლეს გამგებლობისა.

ჯარში მაცადინებობის წარმოების დროს, თუ იცით, რისკენ უნდა ისწრაფოდეთ, ადვილი გახდება იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელიც მაცადინებობას აფერხებს.

ა. ბ.

### სამხედრო საქმე რომის რესპუბლიკაში.

რომში, ძველათ, თები და ჯარი არ იყვნენ გაყოფილნი. თემის წევრი ამასთანავე ჯარის კაციც იყო, თავდაპირველათ ჯარის რაოდენობა მ ათას კაცს უდრდა. ეს იყო ქვეითი ჯარი. ვარდა ამისა არსებობდა მ ასი კაცისგან შემდგარი ცხენოსანი ჯარიც, ქვეითი ჯარი იყოფოდა ათასეულებათ ცხენოსანი კი ასეულებათ. ყოველ ათასეულს ასეულის ახლდა. როგორც ათასეულებს, ისე ასეულებს საკუთარი უფროსები ახლდათ. პირველი ეწოდებოდა მ ათასეულთა ტრაბუნები, მეორეთ ასეულთა ტრაბუნები.

ჯარში ამ დროს მხოლოდ წარჩინებულნი (პატრიციები) შედიოდენ. სერგო ტულლომ მოსპო ეს წოდებრიობა და მის მაგიერ ქონებაზე, უფრო სწორეთ უძრავ ქონებაზე დაამყარა სამხედრო სასახური ყოველი მამაკაცი, რომელსაც კი გააჩნდა მიწა ვალდებული შეიქმნა საჭირო დროს ჯარის კაცათ გამზადრიყო. წოდებრიობასთან ერთათ სერგოს რეფორმებმა პირადი ბეგარის ხასიათიც ჩამოაშორეს სამხედრო სამსახურს.

რესპუბლიკის მცხოვრებნი ქონების მიხედვით მ კატეგორიათ იქნენ დაყოფილნი. პირველ კატეგორიას ეკუთვნოდენ ისინი, ვისაც სრული ნორსე მქონდა სახნავი მიწისა, მეორეს — რომელთაც  $\frac{3}{4}$  მქონდათ, მხოლოდ მესამეს, რომელთაც  $\frac{1}{2}$  გააჩნდათ და ასე ამ გვარათ. სახელმწიფო ავალდებდა პირველი კატეგორიის ანუ კლასის მოქალაქეთ, რომ ყოველ ოც-ოც კაცზე, რომელთაც დანარჩენი კლასების მოქალაქენი გამოიყვანდენ ბრძოლის ველზე, 80 კაცი გამოეყვანათ. ამ გვარათ სახელმწიფო ყრძოთ კი არ მიმართავდა, ასე ვთქვათ ყოველ მოქალაქეს, არამეთ სოციალურ ჯგუფებს ავალდებდა ჯარისათვის საჭირო შემადგენლობის გამოყვანას. როგორც საზოგადოება იყო დაყოფილი კლასებათ, ისე ჯარი, კლასები იყოფოდენ ცენტურ რიებათ ანუ ასეულებათ. ცენტურია თავის მხრივ ორი ტიპის შემადგენლობის იყო. მის ერთ ჯგუფს, რომელეები „ციონერებს“ უწოდებდენ, მეორეს კი „სენიორებს“. პირველ ჯგუფს ეკუთვნოდენ განწვეულნი, 17 დან 45 წლამდე. მეორეს კი — მიხუნნი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, პირველი ჯგუფი წარმოადგენდა მოქმედ ჯარს და მეორენი კი სათადარიგო ჯარს. ყოველ კლასს, ვარდა ამისა, მიწე

ჩილი ჰქონდა განსაკუთრებული რაზმები ხელოსნებისა და მუსიკოსებისა. ამ რაზმებში ჩვეულებრივ უსახლკაროანი (მაშინდელი პროლეტარები) შედიოდნენ.

ცხენოსანი ჯარის შესახებ სერგოს რეფორმებს არაფერი შეუქნია ახალი. მისი რაოდენობა ისეთივე დარჩა, როგორც იყო პირველი ტარკინის დროს 11800 კაცი. მისი შედგენაც პირველი კლასის მოქალაქეთ ევალებოდათ. ფაქტიურათ, მაშასადამე, ჯარის უპრაველესობა პირველი კლასის მოქალაქეთაგან (ანუ შეძლებულთაგან) შესდგებოდა. მათ გამოაყავდათ ბრძოლის ველზე 40 მოპქმედი ასეული, 49 სათადარიგო და 48 ცხენოსანთა ასეული. ეს შეადგენს 98 ცენტურიას ასეულს, ანუ 9300 კაცს. დანარჩენ კლასებს გამოაყავდათ: მეორეს — 10 მოპქმედი, 10 სათადარიგო; მესამეს — 10 მოპქმედი, 10 სათადარიგო; მეოთხეს — 10 მოპქმედი, 10 სათადარიგო და დაბოლოს, მეხუთეს — 15 მოპქმედი, 15 სათადარიგო ასეული. სულ 90 ასეული ანუ 9 ათასი კაცი. ამას რომ 4 ხელოსანთა და მუსიკოსთა ცენტურიებიც მიუმატოთ, რომელნიც, როგორც დავინახეთ პროლეტარებისაგან შესდგებოდნენ, მაინც უპრაველესობა პირველ კლასს ანუ შეძლებულ მოქალაქეებს დარჩებათ.

ხარისხით, ვითარებითაც დიდათ განსხვავდებოდნენ პირველი კლასისგან წამოყენებული მედრობა დანარჩენთაგან. მაშინდელი ტენიკის შესაფერათ, ისინი საუკეთესოთ იყვნენ შეიარაღებულნი და ამიტომ ჯარის მშვენიერებათ ითვლებოდნენ. ლეგიონის პირველი ოთხი რიგი მათ ეკირათ. დანარჩენი კლასების რაზმები ზოგი მეოთხე და მეხუთე რიგებში შედიოდნენ, ზოგი კიდევ მაშველ რაზმებათ უდგენ გვერდით რომელი ფალანგას.

სამხედრო ერთეულს იმ დროს, რომელზედაც ზეგ აქ ლაპარაკი გვაქვს, სწორეთ ეს ფალანგა ანუ (რომაულათ) ლეგიონი წარმოადგენდა. მასში როგორც ვსთქვით, პირველ ოთხ რიგში მყოფი 4 ათასი კაცი პირველ კლასს ეკუთვნოდნენ, დანარჩენ ორ რიგში მყოფნი 2 ათასი კი მეორეს და მესამეს. ამით უნდა მიუმატოთ 2400 მდიდრათ შეიარაღებულნი, რომელთაც მეოთხე და მეხუთე კლასები აძლეოდნენ. ამ გვარათ ზეგ მივიღებთ ლეგიონის შემადგენელს 8400 კაცს.

ჯარის ასაკრეფათ ქალაქი ოთხ ნაწილათ იყო დაყოფილი. ამ ნაწილებს ჰქონდათ მიწერილი ქალაქის გარეშე მდებარე ადგილები და ყოველი ტრიბა გაწვეულთა ერთ და იმავე რიცხვს ადგენდა ლეგიონისათვის. თვით ჯარის აკრეფა ასე ხდებოდა: კონსულიისაგან (ცალკე დეკრეტის საშუალებით) დანიშნულ ღღეს მოქალაქეები გამოცხადდებოდნენ

კაპიტოლს და წილის ყრით არკვევდენ კითხვას ვინ უნდა გასულიყო ჯარში და ვინ დარჩენილიყო სახლში. როდესაც საჭირო რიცხვი დაგროვდებოდა, მის კადრებათ დაყოფას შეუდგებოდნენ ხოლმე. ეს იმითამ ხთებოდა, რომ რომში არ არსებობდა მუდმივი კადრები და ყოველი ახალი ჯარი ახალთვე უნდა დარაზმულიყო. ვინც სამშობლოს მოწოდებაზე არ გამოცხადდებოდა ჯარში, მის შესახებ რესპუბლიკის კანონი შემდგეს ბრძანებდა: *qui ad dilectum non respondelanl, ut procllo: es lilep fafis n servitutein redigetantir* ე. ი. ვინც სამსახურს მოერიდება, მას, როგორც თავისუფლების მოღალატეს მონობა ელისო.

ლაშქრათ წასულ ლეგიონის მაგიერ სახლში ქალაქის დასაცავად მისი ბადალი რჩებოდა. იგი ხანში შესულთაგან იყო შემდგარი. ძველათ მაშასადამე რესპუბლიკის ჯარი ორ ლეგიონათ იყოფოდა და დაახლოვებით 20 ათას კაცს უდრიდა.

ასეთი ლეგიონი მასსით სამოქმედო იყო მოწყობილი, მას ან ერთიანათ უნდა გაემარჯვნა ან ერთიანათ დამარცხებულიყო რადგან მას შინაგანი მოქნილობა და ინდივიდუალიზაცია აკლდა. გარდა ამისა იგი მხოლოთ ხელნართული ბრძოლისათვის იყო მოწყობილი, სადაც ლეგიონერს მხოლოთ ხელით უბდებოდა უპოვარესათ ბრძოლა.

აფიკრები ჯარში.

ვინ იტყვის, რომ აფიკრის დანიშნულება დიდი არ იყოს. ვინ იტყვის ღღეს, რომ ერის ცხოვრებაში უდიდეს მნიშვნელობა არ ქონდეს იმას, თუ რამდენად შეუფერება თვის მოწოდებას აფიკერი. აფიკრის სამოღვაწო სარბილი ერთობ ფართოა. აფიკერი ერთნაირათ მასწავლებლია ერის ჯანსაღ ახალგაზდათა. ჯ. კაცობის დროს შეთვისებული, შესახლბორცხული არ აღმოიფხვრება მათი სულიდან და ჩამოშავლობიდან ჩამოშავლობას გადაეცემა. აფიკრის მოვალეობაა აღზარდოს ჯ. კაცი ზნობრივად, ფიზიკურად და სულიერადაც; ამით კი ის გააფხვანს ახლენ ერის ზნობაზედაც, აჯანსაღებს ხალხს და ქმნის გმირებად, რომ შემოსულ მტერს თავს რისხვა დაატეოს.

ამ ამიტომაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჯანსაღი ახალგაზდათა, რომელნიც ჩამდენივე წლის ვიდრე მოწვეულ აქნებან სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად, ჩუვეარდეს ხელში ვასაჭარონელად, მოსამზადებლად სამშობლოს სიყვარულით გამსჭვავებულ, ზნობრივად და გონებრივად ამაღლებულ აფიკრებს. ამას შეუძლია ფრიად დიდი სარკებლობის მოტანა. ამიტომაც ამ თავითვე უნდა მიექცეს დიდი ყურადღება აფიკროთა შემადგენლობას.

აფიკერთა შემადგენლობის არჩევს თუ გადაიზიჯვის აფიკრებლად ასე უნდა დაისვას საკითხი: ვინ უფრო მტოდნე, ვინ უფრო მომზადებულია მოვალეობის შესასრულებლათ, ვის უკეთესად შეუძლია ემსახუროს სამშობლოს და თავისუფლებას. ჩინს და ორდენს ნაკლები ყურადღება უნდა მიექ-

ცეს. ბრვეილა საგნები ყველა ოქრო როდია! იქ სადაც ერის აწმყო და მომავალი სასწორზე უნდა აღიფასოს, ყველაფერი აღვიღოს ცოდნას უთბობს. არაფერ უნდა აუკლავოს, რომ ყოველთვის ღირს შესაფერ ადგილზე არ მოხვდეს. „მოცურება ზედა სარწმუნო იყავ, რათა მრავალთა ზედა დაგაყენო შენი“ იტყოდა ხოლმე უდიდესი მასწავლებელი იესო.

ვიზორებ, აფიცრთა კადრის შედგენის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რომელს როგორი მომზადება აქვს, თუ რამდენად ძლიერია მათში ერთნული სული და არა იმით, ვინ რომელი ხარისხობენებისაა (ღირსია).

ურადღებდა უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმასაც, რომ ზვეწ ჯარში მრავალად არიან უცხო ტომთა ისეთი აფიცრები რომელთაც შეიძლება გულადან ჯერ კიდევ არ ამოშლილვთ იღვია დიდმარობელ რუსეთის აღდგენისა ზვეწი...

თ. ჩაქვანია.

### საფრანგეთის მთავარი შტაბი

(ინტორიული შენიშვნა).

ღვიძოვანა და ვატარლოს ბრძოლებმა ნაპოლეონის იმპერიაც დაშარბეს და მისი სამხედრო ორგანიზაციაც. ახალ მონარქიას არ ვასპირებია მისი აღდგენა, რადგან მას ბევრი მოვსოვებოდა გამოცდილებით და ცოდნით აღტურვილი სარდლები. სამხედრო მინისტრმა გუვიონ სენტ-სირმა შეიმუშავა მართლაც პროცტრ, რომელიც 6 მაისს 1818 წელს იქნა დამტკიცებული. პროცტრის ძალით შტაბის ვარდა უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული სასწავლებელიც, რომელსაც უნდა მოეზადებია შტაბის ოფიცრები. ახლათ დაარსებული შტაბს 545 ოფიცერი შეადგენდა. ყოველ მათგანს უნდა ვავთავებია სპეციალური (სენტ-სირის) სკოლა შემდეგ იგი ვადავ დიოდა ზემოსწავნებელ სასწავლებელში, სადაც იგი ორი წელიწადი რბებოდა, როგორც უმცროსი ოფიცერი ორი წლის შემდეგ აბარებდა ვათავების ვუზამენს და ვადადიოდა ცხენოსან რაზმში. იგი ორ წელიწადს დაყოფთა და იცდებოდა პრაკტიკულათ, ამის შემდეგ იღებდა ლეიტენანტის ხარისხს და შემდეგ ვადადიოდა ქვეითა ჯარში ისევ ორის წლის ვადით. ოთხი წლის სამსახურის შემდეგ ახალგაზდა ოფიცრის ვალეოდა უფლება დეკორა რაიმე ადგილი შტაბში, მაგრამ თუ ის არ აღმოჩნდებოდა, იგი ვანავრანობდა რაზმში სამსახურს. რაი ერთნელ შესდგამდა ისეთი ოფიცერი შტაბში ფებს, ის პლარ მოშორდებოდა მას ვ. ი. აღარ უბრუნდებოდა თავის რაზმს.

კლერმონ-ტონნერის რეფორმამ (1826 წელს) შემდეგი ცვლილებები შეიტანა შტაბის ვანყოფილებაში. კადრებიდან გამოიხილებენ ოფიცრები officiers genereux, ბატალიონთა უფროსების რიცხვი 10 ვადადვა, კაპიტანებისა 25, სამავიეროთ ლეიტენანტების რიცხვმა იკლო და სს.

1833 წლის მარშალმა სულტმა ვააუქმა კლერმონ-ტონნერის რეფორმები და ისევ გუვიონ სენტ-სირის დროის ორგანიზაციას დაუბრუნდა. კაპიტანების რიცხვი 300-მდე იქნა აყვანილი. 100 ლეიტენანტმა ზელახლა დაიბარა თავის ადგილი კადრებში.

ზემოსწავნებელი სასწავლებელი Ecole d'appli- cation-ი ყოველ წლივ 25 უნცროსი ოფიცერი იღებდა პოლიტენიკებიდან, რომელთაც ორის წლის და შესაფერი ვამოცდის შემდეგ ლეიტენანტის ხარისხს აძლევდა და ვხავნიდა შესაფერი გამოცდილების მისაღებათ ინფანტერიის. კავალერიის და ხან-და-ხან არტილერიის რაზმებშიც. 1845 წელს

შტაბის ორგანიზაცია ზელახლა შეხებდა, კადრები შემცირდა მაგრამ 1851 წელს ყველაფერი შესწორდა ისევ.

ერთიბის ამის დროს შტაბის კადრები რამდენიმე ვადიდებელი იქნენ, შემდეგში შტაბს თითქმის აღარაფერი შეესვლია. ამ პლგომარეობაში მოისწრო მას პრუსიასთან ომში.

შტაბის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იგი დაშორებული იყო ჯარს, შტაბის ოფიცერი ზვეულებრივ სრულიათ უცნობი იყო ამ რაზმისთვის, რომელსაც იგი წან უბოლოა ომის დროს. ვარდა ამისა მას არ ჰყავდა საკუთარი ვამეც მისი ადგილი სამხედრო მინისტრს ვერია.

1870 წლის ვებელურებამ აიძულა საფრანგეთი ზელახლა ვარდაქმნა შტაბი. 1872 წლის დეკრეტის ძალით დაარსდა კომისსია, რომელსაც დაჯვალა ახალ პრინციპებზე დამუშავებია შტაბის შექმნის საქმე. კომისსიის უმთავრესათ შემდეგი კითხვა უნდა ვადავწვეოდა: როგორი უნდა ყოფილიყო შტაბი? დამოუკიდებელი, კარბაკტორი დაწესებულება, რომლის კარი მხოლოდდროებით იღებოდა ამ იყეტებოდა ვანსაკუთრებული წრის ოფიცერთათვის. მეორე ასრმა ვამარჯვა და შტაბი service owner-ით იქნა. ეს შემდეგს ნიშნავს: შტაბი უნდა შემდგარიყო ისეთ ოფიცერთათგან, რომელიც დროებით შედიოდა მსში, და შემდეგ ისევ უბრუნდებოდა რაზმებს.

1874 წლის დეკრეტმა დააწესა მთავარი შტაბი. მას სათავეში თუმცა საკუთარი ვამეც უნდა, მაგრამ იმდენათ იყო დამოკიდებული მინისტრისათგან რომ მისი ვადავცენების დროს შტაბიც თავისთავათ უნდა ვადამდგარიყო.

ყველამ იცის როგორი ჭკარა იცვლება საფრანგეთში მინისტრთა კაბინეტები. ყველამ იცის აგრეთვე, რომ შტაბის უფროსის წარა-მარა ცვლა დაუშვებელია. ფრანგებაც მიხედვენ ამას 6 მაისს 1890 წელს სამხედრო მინისტრმა ფრეხინემ ვაივანა პალატაში კანონი რომელიც სპობდა შტაბის უფროსთა ასეთ დაუდევარ პლგომარეობას, თუმცა იგი მაინც დამოკიდებული რბებოდა სამხედრო მინისტრისათგან. იმის დროს ეს შტაბის უფროსი საგანგებოთ დანიშნული ვენერალისიმუსის შტაბის უფროსათ უნდა ვამდარაყო მაგრამ შემდეგში ესეც შეიცვალა. იგი ისევ სამხედრო მინისტრს დაურთოვენ და ვენერალისიმუსს ახალი ვაკი მოუჩანეს. შტაბის შედგენილობა ესეთი უნდა ყოფილიყო: 30 რაზმის უფროსი (პოლკოვნიკი) 40 თანაშემწე (პოდპოლკოვნიკი) 170 მავიარი, 400 კაპიტანი. ეს იყო მაჭიმოვში ნამდვილათ კი 1903 წელს შტაბი მხოლოთ 18 პოლკოვნიკი, 48 პოდპოლკ., 153 მავიარი და 165 კაპიტანი შედიოდა. შტაბის ოფიცრების მოსამზადებლათ 1878 წ- დაარსებულ იქნა უმთავრესი სამხედრო აკადემია.

### წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებამე

#### ა რ ვ ი ნ ბ ი ნ ა

არგენტინის თანამედროვე პოლიტიკური წყობილება ხანგრძლივი ბრძოლის და დავიდარაბის ნაყოფია. არგენტინაში წარმომადგენლობითი რესპუბლიკანური და ფედერატიული წესწყობილება არსებობს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს რესპუბლიკა სავსებით დემოკრატიული რესპუბლიკაა. არგენტინის ფედერალური მთავრობა რომის კათოლიკურ სარწმუნოებას ვანსაკუთრებულ მფა-

რველობას უწევს და მით საეკლესიო კითხვებს უკავშირებს პოლიტიკას და სახელმწიფოს.

არგენტინის კონფედერაცია ანუ არგენტინის რესპუბლიკა შესდგება 16 შტატისგან და რამოდენიმე ტერიტორიისაგან. შემადგენელ ნაწილებს, შტატებს არგენტინაში ჰქვია პროვინციები, რომელთაც თავის საკუთარი კონსტიტუციები და წარმომადგენლობითი რესპუბლიკანური წესწყობილება აქვსთ. პროვინციების კონსტიტუციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდენ კონფედერალურ კონსტიტუციას, რომელიც თავის მხრით უზრუნველყოფს მათი დაწესებულებების ხელუხლებლობას.

აღიარებულია სხვათაშორის ერთად ყოველგვარი პროფესიის და ხელობის უფლებასთან შრომის უფლება. ეს უფრო დეკლარაციაა, ვიდრე რაიმე ღრმა ცვლილება ხალხის სოციალურ სტრუქტურაში. არგენტინაში აღარ არიან ამ კონსტიტუციისადმი ფიცის მიღების შემდეგ ყველა მონა თავისუფალი ხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ არგენტინაში ბევრი ინდიელია მონები. არ არის არავითარი პრივილეგია, არც კლასიური, არც წოდებრივი პოლიტიკური დანაშაულობისთვის სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ყერძო საქმე და მოქმედება, თუ საერთო წესრიგს არ არღვევს სასამართლოს არ ექვემდებარება, „აღამიანთა ყერძო საქციელს მხოლოდ ღმერთი განაგებს“ ამბობს კონსტიტუცია.

რატომ უნდა არგენტინის ყოველი მოქალაქე ვალდებულია იარაღი აისხას სამშობლოს დასაცვლათ. მაგრამ შინაური არეულობის თუ შტრის თავდასხმის დროს ცხადდება საალყო წესები და საკონსტიტუციო გარანტიების მოქმედება დროებით ჩერდება.

აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, პრეზიდენტის მაგიერობას სწევს ვიცე-პრეზიდენტი. ორივენი უნდა ეკუთვნოდენ უთუოდ რომის კათოლიკურ ეკლესიას. მათი სათანამდებოდ ვადა ექვსი წელიწადია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შესაძლებელია აღარ აირჩევა. ისინი ფიცს სდებენ სენატის თავმჯდომარის წინაშე.

**3. ხავეარელიძე.**

(შემდეგი იქნება)

**კვირაული მიმოხილვა.**

(შინ და გარეთ)

უკანასკნელ კვირულ მიმოხილვაში ჩვენ ესთქეთ: „გასულმა კვირამ საქართველოს დაცვის დროშის ქვეშ გაიარა და მომავალი კვირაც, ვეწამს, ამასვე შეეწირება.“ და მართლაც: ეს მომავალი კვირა დღეს უკვე ისტორიას ჩაბარდა და მან ყველას ცხადათ აჩაბა, თუ საქართველო, ქართველი ხალხი როგორაა მომზადებული სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად. მოხუცებული კაცური ნება ქვე-

რის დასაცავად ამის მლაღადებელია ზეზე წამომდგარი ქალაქი და სოფელი, მიზეუცი და ახალგაზდა. ამის აშკარა დამაბტოციებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არავისთან ვფიქრობდით იმს და არ ვეზზადებოდით, იმ დროს, როდესაც სომხეთის მოაზრობის შესვეური—დაწაკაკანთა ბანაკით მივლი თვე-რბით უზადებოდა ჩვენზე თავდასასხმელათ, მიუხედავად ამისა, რომ მათ იმ დროს შემოვიტოვეს და აამუშავეს საზღვრებზე თვისი ძალა, როდესაც ჩვენ შორივებით ვფიქრობდით სადა-ყო საყოთი ვადაგვეწვიტა, — მაინც სომხის ჯარმა ვერ შესძლო ჩვენი ჯარის დამარცხება და ვერც შესძლეს ვერაფოდეს, თუ უცხო გარეშე ძალა არ ჩაერია საქმეში და თავისუფლება გვექნა პირდაპირ გაეუმჯლავდეო მტერს. ქართველთა ჯარი და სახალხო გვარდია ვმირულათ იბრძვის თავისუფლების დასაცავად ამ ბრძოლაში, მიული ქართველი დემოკრატია ამ ბრძოლაში მათთან არის. მასთან არის ფიზიკრათ, მატერიალურათ და ზნეობრივით ახალგაზდობა და შეუახნის ვაცობა, ვისაც შეუძლია იარაღის მარჯვეთ ხმარება, ყველა მიეშურება ფრანტზე. გაილიძა და შეიარაღდა თვით მივარდნილი კეთილებიც. ნაყოჩაღურათ თვით შევწებამ იფეთქა და გვიჩვენა თვისი ნამდვილი სახე. იგი მზათაა და იცავს საქართველოს ხელუხლებლობა და უზრუნველყოფს მისი თავისუფალი არსებობა. არც ერთს აქტს, ისე ძლიერათ არ გამომხმურებია ქვეყანა, როგორც ამ თავდაცვის საქმეს, რომელმაც ფეხზე დააყენა საქართველო და გააქანა იგი ბრძოლას ველიხაყრ. ესაა საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, თუ რაოდენ განმტოციებულია ჩვენში შევწება სამშობლოს და თავისუფლების, შევწება სახელმწიფოებრივ არსებობის და დამოუკიდებლობის ცხოვრების! ერთი მხრივ, თუ ფრანტზე მიეშურებთან, — მეორე მხრივ, აქ დარჩენილნი ზურგს ამაგრებენ და მატერიალურათ ხელს უწყოებენ მას. მატერიალური და მორალური მხრივ ხელი აკავებს ფრანტს, ამაგრებს ზურგს, რომელსაც მოაზრობასთან ერთად საზოგადოებაც სწმუნდს და გასაწმუნდია, რადგან თვით ჩვენში ბევრი აღმონდა ისეთები, რომელნიც ცოხის შიკნიდან ვატებს ლამობდენ მაგრამ ფიზიკურა სენამ და ვამტოიბამთ თვალმა დროზე შენიშნა საქართველოს მტერთა ვერაგული ზახაყანი, და მიუჩინა მათ შესაფერი ადვილი. მუშათა დეპუტატთა საბჭოები, ერთობები, რომელნიც ღიდ როლს თამაშობენ მიბილიზაციის მწყობრათ ჩატარებაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ქალაქის თვითმართველობები და სხვა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზე წამომდგარნი გაფაცოკებით უწეფან სამშობლოს დაცვის მისზე მუშაობას და სოფელთან დაკავშირებულნი, მასთან ხელიხელ ჩაქიდებულნი ყოველ მხრივ, შეძლებინამებრ, დახმარებას უწევენ მოაზრობასა და ფრანტს. ამ მხრივ საინტერესოა განსაკუთრებით სოფლის ხმა, რომელიც მლაღავრათ ამაღლდა მზავარი მტრის წინააღმდეგ და რაც მტრათ საუერადლებოა, რომელსაც შეუერთდა საქართველოს კეთილებში (გარდა თფილისის) მტოვრებნი სომეხნი, რომელთაც შეუვწნათ მიული სივავლაზე და სივერაგე სომხეთის შესვეურთა და გვირდებიან იარაღითაც შეებრძოლან ჩვენზე მოსულ მტრებს. შეიძლება მათი დაპირება ცხოვრებაში არ გატარდეს, მაგრამ ეს სიტყვაც კი კარგია რადგან იგი აშკარათ გვიჩვენებს ჩვენი საქმის სიმართლეს და ჩვენი მოქმედების ტეშმარტებითი ხაზს.

ბრძოლა ფრანტებზე გრძელდება. ყველა მოვალეა მას რითიც შეუძლია მიული ენერგიის ამოძრავებით მხარი დაუჭიროს და გაამაგროს. საქართველო იბრძვის თავისუფ-

ლებსათვის, რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის და ყველა ერთი ფიქრით, ერთი ნებით, ერთი მოქმედებით მასთან ყოფნას უნდა განაგრძობდნენ.

უკანვე, დედასთან დაბრუნებული ახალციხის მახრას სტავროს პარტიკულ ნაბიჯებს სამუდამოთ დასაყვედრებლათ და ზევთან ერთი გზით სასაარყოლოთ. ახალციხის მახრამ, რომელმაც იცხმა ოსმალთა ბატონობა შეუდგა თვით ორგანიზაციას, უკვე მოეწყო მახრის მილიცია. მალე დაწარმოდა ორგანიზაციებში განმტკიცდებოდა. პირველ იანვარს გაიხსნა და გლეხთა ურთობა, სადაც ყველა საჭირ-ბოროტა საყვირებს შეუხებთან და გადამწვევტენ განსაყუთრებით საარსებო საკითხს, მიწის რეფორმის საკითხს. მიწის საკითხის გლეხთა სასარგებლოთ გადაწყვეტა და ცხოვრებაში მისი განხორციელება, — ახალციხის მახრის გლეხობას საუკუნობრივი კავშირით დასაყვედრებს საქართველოს გულთან და რამდენადაც ეს აუცილებელია, იმდენათ საქართველოს ხელმძღვანელმა წარებმა მიუღი მუშაობა იქით უნდა მიმართონ. რომ თავისუფლების და დემოკრატიის მონაპოვარი აქ საცხებით განმტკიცდეს.

გერმანიის რევოლუციის ხალხი პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე გადასდგა ნაბიჯი. უკვე დაიწყო გერმანიის დამფუძნებელი კრების არჩევნები. პარტიები საყოთარბო სიებით გამოდიან საარჩევნო ასპარეზზე და სყოთლობენ სახელმწიფოებრივი გეზის სატე თვის ხელში ჩაიგდონ. ორ ფრთად გაყოფილი სოციალდემოკრატია ცალ-ცალკე სიით გამოვიდა, მაგრამ არის მიდრეკილება მათი შეერთებისა. გერმანიაში ბოლშევიზმის შესახებ, რომელიც ბევრს ასყოილენ იქ რევოლუციის დაწვებისას, დღეს აღარა იმის რა. და თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ აღნიშნულ მიდრეკილებას, — ცხადი ვახდებ, რომ გერმანიის რევოლუცია ნორმალური გზით გასწევს ყრბოთ გერმანიისა და საზოგადოთ საქოთარბოთ დემოკრატიის საყოთოდღეთ.

დემკში და რადიომაც მოიძულა უბედური ავსტროუნგრეთი. მეტისმეტათ ძუნწათ მოდის იქონ ამბები და ძელია ვარკვევა თუ სახელდობრ რა ხდება იქ. ერთი ნათელია: ავსტროუნგრეთის შემადგენელი კრება სახელმწიფოს დარღვევის შემდეგ ყალიბდებიან და როგორც სხანს, ტერიტორიის შემოფარგვლის საკითხში იარაღით უმანპინ აღდებიან ქალაქებს თუ დაბებს, უნდა მოველოდეთ. რომ ახლო მომავალში ყოივნული ტერიტორიალური ჩამოყალიბება დასრულდება და დაისმება საკითხი მათი ურთოერთობის შესახებ.

ამგვარსავე ჩამოყალიბების გზას ადგია პოლონეთი და ლატვია. ამ საკითხის გამო პოლონეთს ყრბოთ დავაც მოუბთა გერმანიასთან. პოლონეთი უფლებებს აცხადებდა აღმოსავლეთ პრუსიაზე, მაგრამ უკანასკნული ცნობების მიხედვით: ყენივსბერგის შტატებში პროტესტს აცხადებენ აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთთან ან ლატვიასთან შეერთების გამო. ანგარიში უნდა გაუწიოს ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, მაშინ შეიძლება წინლიანდიას ჩამოშორდეს აღანდიის ყენბული რომელიც შევიცისაყენ ისწრაფვის.

რუსეთში სამოქალაქო ომი მიუღი თავისი სისასტიკით მტყინვარებს. ბოლშევიზმთან საბრძოლველათ მოწოთბილი

ყოალიცია, — უფის დირეკტორია დაიმადა ანუ სინამდვილით რომ აღნიშნოთ, აქ მემარჯვენე ნაწილმა გაიმარჯვა და დემოკრატიის წარმომადგენლები დაატყვევა, მიუღი ძალიან უფლება გადავიდა რეაქციონერ ადმირალ კოლჩაკის ხელში. დემოკრატია აქედანაც დამარცხებული გამოვიდა და მას მოუბდება ერთი მხრით, ბოლშევიკებთან ბრძოლის გაგრძელება, მეორე — მხრით, რეაქციასთან ბრძოლა. ეს უხანასკნელი ბრძოლა განსაყუთრებით სასტიკი იქნება, რადგან რუსეთის რეაქცია მობილიზაციას შეჩება და რგოლათ ერტყმის ბოლშევიკების სამფლობელოს; კონტრ-რევოლუცია სმხრით დასაყუთიდან — დენიკინის ქარი, — და კონტრ-რევოლუცია — ჩრდალოეთ-აღმოსავლეთიდან კოლჩაკის ქარი. ბრძოლის სისასტიკეს სახლგარი არ ექნება.

უკრაინაში რეაქციონერ გეტმანოსკოროპადსკის მომხრეთა და უკრაინის დამოუკიდებლობის დამცველ პეტლიურს ქარს შორის ბრძოლა არ დასრულებულა, მიუხედავათ იმისა, რომ პეტლიურა მამკურათ წინ მიიწევს და იმარჯვებს. გეში ამ ბრძოლისა გვიჩვენებს, რომ გამარჯვება პეტლიურას დარჩება.

საერთოდ: მსოფლიო ცეცხლის შემდეგ მიუღი ქვეყნობა აფორიატებულია. არც ერთი ქვეყანა ჯერ ყალიპოტში არ ჩამოყალიბებულა და დაუდგომელ დღილს განიცდის. ეს დღილი არც აგრე მალე და ადვილათ დასრულდება. მისალიდნელია კიდევ პოლიტიკურ-სოციალური მიწის ძვრანი. ყოველ შემთხვევისათვის მხათ უნდა ვყოთ და ვამტკიცოთ სამშობლოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების სატე.

ვ. მოძველი.

### შოთაგაქილიაგა.

ოცდა ოთხ დეკემბერს მიწას შაბბარეს ქართველი გმირები. ქართველმა ხალხმა, ქართველების დემოკრატია მკოქჩალოვით თავი მოიხარა მათ წინაშე. მაღლაერვა ერმა შაიკოლა ისინი საუკუნოდ განსასყენებელ ადგილამდის. მშობელ მიწამ გულზე მიიხურა ღირსნი ჩამომავალნი ძველ ქართველ გმირებისა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მ და შთაფრობის წარმომადგენელმა ხალხის სახელით შეფიცეს მათ. რომ მანამდის არ დაბრიან ამოწვილი მახვილის ძირს, სანამ არ დაამარცხებენ ყრაგულათ შემოსეულ მტერს.

ამ დღემ კიდევ ერჩხელ დამარწმუნა, რომ ღიახაც შეუქლებელია ქართველი ერის ძლიევა, ღიახაც მას არავისი არც ეშინია და არც სცხვენია, ღიახაც ძალომს მას დაფრდოვილთა გამოსარჩლოება. ამის მარჯვენებელია ზვენი ქარის და სახალხო გვარდიის მოღვაწეობა. მათა საფლავზე მათ შეფიცეს გმირთა ხსოვნას სამშობლოს და რევოლუციის დაცვა სომხის პლუტოკრატიისაგან.

თ. ნ — ნათა.

### გლეხთა მოძრაობა სამურზაყანოში.

გლეხანიშვილის რაზმის ჩახელამდე კონიევის ჯარმა ციხეში სამურზაყანო, მაგრამ ეს ჯარი დიდ ხანს არ გაჩერებულა იქ.

ესთი გავლილმა კონიევის ჯარმა დიდი ამაგი დასდო შემდგომ მისულ ჯარებს. საქართველოს მტრებს თავშარი დაეცა გვარდიელების დანახვაზე.

აშკარა იყო, რომ დემოკრატიული მთავრობა არც ისე უძლევი იყო, როგორც ამას ხალხში ავრცელებდნენ თურქ-ფილები.

გენ. გლეხანიშვილის წინ პრავალი რთული საკითხი იდგა ვადასპირელათ:

საქირო იყო უპირველეს ყოვლისა ხალხისთვის თვალის ახილა, რომ ხალხს შეძლება ქონადა გავრძია ვინ იყო მტერი, და ვინ მოყვარე. ამასთანავე ერთად საქირო იყო უდანაშაულო ხალხი არ დაშვებულყო ჯარის მოქმედები დროს.

მეორე მხრით კი სახელმწიფოს კანონების მიელი სი სასტიკით უნდა დასჯილიყო ყველა ის, ვინც შეგნებულათ ხელს უწყობდა ანარქიას და ძირს უთხრიდა სამურზაყანო ს და სხვა კუთხეებთან მტრად კავშირის დამყარებას.

სამივე ეს საკითხი დიდ შრომას და ფრთხილ ტაქტიკას მოითხოვდნენ.

პრავალი მიზეზი ელიბებოდა გენ. გლეხანიშვილს და ხელს უშლიდა საქმის კეთილად დავერჯინებას.

საქართველოს მტრებმა შესძლეს დაერწმუნებიათ ხალხს, რომ მთავრობის მიერ გამოგზავნილი ჯარი, არ დიან. დიბს არც დანაშაულს და არც უდანაშაულოს, რომ მისთვის სულ ერთია, ილინდაც ააობრონ და გაანადგურონ სამურზაყანო; ამით აიბნებდა ის გარემოება, რომ ერებებზე ჯარის ჩახელისას ხალხი ცოტა მილიოდა და რაც ქონდათ იჯახში საოჯახო ნივთების გამოუყლებლათ—ტყეში ქონდათ ვადამაგალი.

დიდ გაციორებას იწყებდნენ ხალხში სოციალისტ-გენერლის სიტყვები, რომ ის გამოგზავნილია დემოკრატიული მთავრობის მიერ წესიერების დასამყარებლათ.

პირველად არავის სჯეროდა თუ გენერლის ტყბილი, მფერი სიტყვები მისატყულებლათ არ იყო თქმული.

მაგრამ გენ. გლეხანიშვილმა გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა და შესძლო დაერწმუნებია სამურზაყანოელი რომ მთავრობა არავითარ ანგარებით არ არის გატაცებული—არამედ მას სურს დაამყაროს მშვიდობიანობა და ამით შეძლება მისცეს მშვიდობიან ხალხს თავისუფალი, უშიშარი ცხოვრებისა.

ჯარის მეცადინეობამ გასჭრა და ხალხმა შეხედებდა შეიცვალა.

უნდობლობა შეიცვალა ნდობით და ბილოს ყოველ სიტყვას ჯარის ან მთავრობის წარმომადგენლების დიდ ურჩადლებით იმენდნენ. ბურუსი იფანტებოდა და სამურზაყანოელ გლეხების მტრის სახე აშკარა ხდებოდა.

ამ მხრით მიზანი მიღწეულია—აშკარაა დღეს ისე აღვილიათ ვე დააჯერებენ ჯვნი მტრები სამურზაყანოელ გლეხებს, რომ საქართველოს მთავრობას სურს ბატონ ყრობის აღდგენა.

მეორე საკითხი უფრო ძელი მოსაგვარებელი იყო. ყველაბათვის ცხადია, რომ საომარი მომზადების წარმოების დროს ძელია ვარჩვეა ვინ არის დანაშავე ან უდანაშაულო.

ეს სიძულველ პარტიზანულმა რაზმმა ჩინებულათ სწლია. მან ყოველივე ღონე იმპარა საომარი მოქმედება სრულებითაც არ მომზადარიყო. გენ. გლეხანიშვილის, მთავრობის წარმომადგენელთა ჯემიასა და ნარაიძის და სხვათა მეცადინეობით, მოპირდაპირენი შედიხველ ნებდებოდნენ ჯარს, უბრძოლველად აბარებდნენ იარაღს.

სისხლის დაუღერელათ დამთავრდა დიადი საქმე; მოისპო მთავრობის საწინააღმდეგეო ორგანიზაციები.

დღეს უვეე ორგანიზაციული გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არა მერინა შესაძლებელი იყოს, თუ რასაცვირველია მომავლისთვის საქირო თადარიგს დავიჭვართ.

სამურზაყანოში დანაშავეს პოენა მეტათ ვაძნულებულა, რადგანაც პირად ინტერესს, ურთიერთ შორის ყრბო ნიადაგზე უკმაყოფილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის საკითხის გამოარკვევის დროს. მაგრამ საერთოდ ეს საკითხი ადგილობრივ დამაკმაყოფილებლათ იქნა ვადატკილი. ყოველ შემთხვევაში აშკარად ვტყობოდა, რომ მთავრობის წარმომადგენელთ ყარგათ ქონდათ ვათვალისწინებელი ის ტყეშმარტება, რომ სჯობია ათი დანაშავე ვაათავისუფლოთ ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯოთ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარმა თავისი მოვალეობა პირნათლად აასრულა, მაგრამ ამით ხაქმე ვათავებული არ არის. მოგვარებულია მხოლოდ საქმის პირველი ნახვეარი.

აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს ვანსხვავებული ურჩადლება მიეცეს ადგილობრივ მთავრობის მოწყობას. სამურზაყანოში სამწებაროთ უმეტესი ნაწილი სოფლას კომისრებისა და მილიციონერებისა არიან ყოფილი პოლიციის მსახურნი. არიან მათ შორის ისეთებიც, რომელნიც დღე ყამისებთან არიან, ღამე კი ყაჩაღებთან,—ეს საკითხი თხოულობს ჯვნი მთავრობის ვანსაკუთრებულ ურჩადლებას.

ვანრჩაბს არ ვებებით აქ მიწის საკითხს სამურზაყანოში, რადგანაც ამის შესახებ გესურს მკითხველს ცალკე წერილით ვესაუბროთ. მხოლოდ აქ საქიროდ ვრაცხს მივატკიო ურჩადლება ვიხიე ჯერ არს—დააქარონ ამ საკითხის ვადატრა სამურზაყანოში—რადგანაც ეს ერთი საქირობოროტო საკითხთაგანია სამურზაყანოელ გლეხისთვის და მისი დროით ვადატრა დიდით შეეწყობს ხელს საერთო მშვიდობიანობის დამყარებას.

პოდპორ. იონავა.

### სამხედრო კომისიაში.

წარსულ სსდომაზე სამხედრო კომისიამ მოისპინა შემდეგი მოხსენებანი:

- 1) ჯარის საადმინისტრაციო ვანყოფილებების უფროსის გენ. ყიფშიძის მოხსენება—ჯარის საყვებავი მასალისა და ჩაცმა-დახურვის მღვომარეობის შესახებ.
- 2) გენ. ქუთათელიძის მოხსენება—საომარი მასალის მღვომარეობის შესახებ.
- 3) შტაბის უფროსის გენ. ანდრონიკაშვილის მოხსენება—მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ.
- 4) სასანიტარო ინსპექციის უფროსის ბ-ნ მესხიშვილის მოხსენება—ჯარის სასანიტარო ნაწილის მღვომარეობის შესახებ.

ყველა მომხსენებელთა მიერ მოწოდებულ მასალებით კომისია სრული კმაყოფილი დარჩა, გარდა მხოლოდ საკითხისა, რომლის სათანადო ნიადაგზე დაუყენებისათვის საჭიროა დიდი ენერჯია და დაუყოვნებლივ ზომების მიღება. ჯარი უზრუნველყოფილია სანოვაგისა და ჩაცმა-დაბურვის მხრით. მობილიზაცია სრულის ნაყოფიერებით მიმდინარეობს. საომარი მასალის მხრითაც ჯარი უზრუნველყოფილია. მხოლოდ სანიტარულ მხარეს სჭირდება გაუმჯობესება და გაფართოება.

კომისიის აზრით, ასეთი საერთო მდგომარეობის მიხედვით მტერზე გამარჯვება შეიძლება ჩითვალოს სრულიად უზრუნველყოფილად.

**საბრძოლველს ჩისხუბლიკის მოძალადეობ.**

მოიხადეთ თქვენი ვალი ზვენი ერისა და დამოუკიდებლობის დამცველთა წინაშე.

მათი თავგანწირული ბრძოლის შედეგებით ზვენი ქალაქებში მშვიდით შეიღწი. შიაწოდეთ ხელიერი სახრდო ზვენი გმირებს, ფრონტზე მებრძოლ რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თბილისის ქუჩებში დადგმულ ელემენტარულ სახეობაში ახალი ან წაყობული ფერნალ გაზეთები, რომელიც ყოველ დღე ვეზავენება ზვენი დამცველთა ფრონტზე.

ეს მომ ყველას შეუძლია!  
სახალხო უნივერსიტეტის ქართული ხეცია.

**პ რ ე ს ა**

24 დეკემბერს სამარცხე მივებარეთ ოცდა ექვსი გმირი სამშობლოსა და თავისუფლების ზეარაკად შეწირული. ამ დღეს ერთმანეთში არეული იყო სრებლები, მწეზარება, სიხარული და იმედი ზვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ბრწყინვალე მომავლისადმი. ამ გმირთა დასაფლავების შესახებ „საბ. საქმე“ სწერს:

„...ოც და ექვსი გმირის დასაფლავებაში გამოცხადდა ერის მოღიანობა, ერის აღდგენა, რომელიც არა თუ იყო, — არის და იქნება, რომელიც არა მხოლოდ ცოცხლობდა, არამედ სწადია სიცოცხლე და როგორც ერთი აღამაინი ისე დადგება განსაცდელის წამს. ეს იყო ცოცხალი სახე ზვენი ერთეულებსა, რომელიც შეფუშვავება ხანგრძლივ მძიმე ისტორიას, ამოძრავება მთელი იმ სულიერი ხანგრძლივების, რომელიც ზვენი წინასწარების დაუღალავა მუშაობას და თავგანწირულებას გადმოუტია ზვენითვის, ეს იყო ამეტყველება იმ ღრმა სიყვარულისა, რომელიც ჩაუნერგავს ზვენი გულში მშობელს ქვეყანას, დღის თავის რძესთან ერთად!

ზვენი ვიყავით ერთი, ვართ ერთი, ვიქნებით ერთი!

მართლაც ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს იმ ერს, რომელსაც ისეთი გმირები ჰყავს, როგორიც იყვნენ ახლად სამარცხე მივებარებულნი ოც და ექვსი გმირი. მტრები ტყველად ეზადებთან სახეობად!

„...“  
გარეშე ძალის ჩარევებს შესახებ „ერთობა“ ამბობს:  
„...დღეს ომის საკითხში გარეშე ძალა უფრო ჩარეულია, ჩარეულია არა ზვენი მოწვევით, არამედ ზვენი ნების გარეშე. ზვენი წინააღმდეგი ვართ ამ ჩარევებს. მაგრამ, რადგან ის მაინც ფაქტით იქცა, ზვენი არ შეგვიძლია, როგორც პატარა ერს ანგარიში არ გაუწიოთ მათს ასეთ მოქმედებას, ერთი უფლება კი ზვენი მაინც უდართ უნდა იყოს აღიარებული: ესაა ზვენი უფლება მოვიზოვოთ ძლიერსაც ის სამართლიანობა, რომელიც განათლებულ კაცობრიობის მოჩაღს და დემოკრატიის სუნიდის შეფუძნება... და ამ ელემენტარული უფლებების დარღვევა კი არავის ეპატიება. და ვერც ზვენი ხელმძღვანელი დაწესებულებები შესძლებენ ასეთი დარღვევის დადასტურებას, რადგან ხალხის ნება და ინტერესი მათთვის უმაღლესი კანონი არის და უმაღლეს კანონათვე უნდა დარჩეს.“  
ზვენი არ გვერინა მოკავშირეთა სახელმწიფოების და კრძოდ ინგლისის ინტერესები მოითხოვდეს ზვენი სახელმწიფოებრიობის და უფლებების ფებქვე გათილვისა. ქართული ერთი ნებით არ დასთმობს მას, რისთვისაც მან ამოღენა სიხელი დაღუარა.

**პ რ ო ნ ი კ ა**

ახალქალაქის მიმართულებით სომხისა და ზვენი ჯარის შორის ბრძოლა იყო ზვენი ჯარმა ტყვეთა წამოიყვანა 80 დეკემბერს 60 ჯარისკაცი, 2 აფიცერი და წაართვა მტერს 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ტელეფონის აპარატი.  
სანაინის მიმართულებით 20 დეკემბერს მტრის შემოტევა უნაყოფო იყო.

20 დეკემბერს, დღის 7 საათზე ზვენი ჯარმა ახალქალაქის მიმართულებით დაამარცხა მტრის ჯარი. ბრძოლის ველზე მტრმა დასტოვა მოკლული 3 აფიცერი და 100 მტერი ჯარის კაცი, ტყვეთა წამოიყვანა ზვენი ჯარმა 1 აფიცერი 50 ჯარის კაცი. 19 დეკემბერს ეპატერინენფელდთან ბრძოლის დროს მტრს მოუკლა ზვენი ჯარმა 280 ჯარის კაცი, 6 აფიცერი, წაართვა 308 თიფი, 1 ტყვიის მფრქვეველი და რუკდფონი. ზვენი სახალხო გვარდიას მოუკლეს ამ ბრძოლაში 80 კაცი.

სადაბლოსთან 22 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. შულავერში ზვენი ჯარს ტელეგრაფი და ვაზები გაუფუჭეს. ზვენი ჯარმა აქ მტერი დაამარცხა.

შულავერის და დაგეტ-ხაინის რაიონში 24 დეკემბერიდან მტერთან ბრძოლა.

25 დეკემბერს ზვენი ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფ. დაგეტ-ხაინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დაწერეს ფრონტზე სიწვანარეა.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მიღებული ცნობებით მობილიზაცია ყველგან წესიერად ჩატარდა. მობილიზაციის გარეშე დარჩენილი მრავალად ეწერებთან მოხალისეებათ.



თფლისის მუშათა დეპუტატების საბჭოს 19 დეკემბრის სხდომაზე ვ. გვეგუკორის მოხსენების და ნოე ორდანიას იტყვის შემდეგ საქართველო სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ მოიწონა საქართველოს მთავრობის ყველა ნაბიჯები და აღუთქვა მას ყოველგვარი დახმარება.

მეკლემბურების სამთავროში (გერმანიაში) დამფუძნებელი კრების არჩევნებზე შეიღმანის მომხრეებმა გაიყვანეს 22 დეპუტატი, დამოუკიდებელმა ს. დ. 16, დემოკრატებმა — 9, და ბალშევიკებმა — 8 და კონსერვატორებმა — 7.

მოკავშირეები ვერიაში სურსათით დაეხმარებოდნენ უფროს საეკონომიკურებს, შემდეგ ნეიტრალურს, და ბოლოს — მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს.

კრებების ქარხნებს მოკავშირეთა ჯარები დაიკავებენ.

პოლონეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე მოკავშირეთა ჯარებმა ვალიციაში სტანისლაუოვი დაიჭირა.

შვეციის მთავრობამ აუწყა ფინლანდიის მთავრობას, რომ ალანდიის კუნძულის მტკიცებუნი სურავლს გამოისიქვან მენ, რათა ეს კუნძული შვეციისა შეეერთდეს.

ბელგიის პალატის მიერ მიღებული საშუალო კანონპროექტი ბელგიის ჯარი იქნება მშვიდობიანობის დროს ასი ათასი კაცისაგან შემდგარი, იმის დროს — 350 ათასი.

გვატემალისლავი გარშემოტყმულია უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარების მიერ.

აღესაში თავმოყრილია გერმანიიდან და ავსტრიიდან მომავალი 2 ათასამდე ქართველი საშუალო ტყვე, რომელთაც არავითარი საშუალება არ მოეპოვებათ სამშობლოში წამოსასვლელად.

საგანგებო რაზმმა თფლისში რამდენიმე ათეული პირი დააპატიმრა რომლებიც სომხის ჯარისთვის მოხალისეთა რაზმებს აღევადენ. სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომი სომხები ახალგაზრდები რომლებიც საშუალო ტყვეებით არიან ემიგრაციადებული. რუსთა ერთნულ საბჭოს მიმართავენ და სთხოვენ რუსეთის ქვეშევრდომებით ნასწრონ ისინი.

ბათუმში მოვიდა ამერიკის მისია პროფესორ ჯატჩენის ეთნოლოგიით და ესაუბრა ზევს წარმომადგენელს. მოვიდა აგრეთვე ინგლისის მისიის ნაწილი. ზევმა წარმომადგენელმა პროტესტი განუცადა ინგლისის წარმომადგენელს სომხეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის ვადმოღაბის გამო.

თფლისის საგანგებო სასამართლოში ძველის ხელის აღფოტების საქმის გარჩევა სწარმოვებს.

აბაღკაბის სამხარო გლეხთა წარმომადგენლების ერთობა გაიხსნება პირველ იანვარს. იქაური ქართველი მაშხა დიანი გლეხები მოითხოვენ მიწის საკითხის იმ გვარით ვადაქრას, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ერთობამ აირჩია აღმასრულებელი საბჭო 27 პირისაგან შემ-

დგარი. დამოუკიდებელ ს. დ. საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გერმანელთა საერთო მოთხოვნაა, რომ რეინის მიწები გერმანიას დარჩეს. ავსტრიის ხალხშია ქალაქი გრომაუჩეხო-სლოვაკებმა დაიკავეს.

ქრისტეანობაში მიტინგები იმართება და პროტესტს აცხადებენ აღმოსავლეთი პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების წინააღმდეგ.

გერმანიაში დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია სწარმოვებს გერმანიის ბევრ ნაწილებში ფრივე მიმართულების სოც. დემოკრატები შეერთებას ცთილობენ, მიუხედავად იმისა, რომ სიხშირე ცალკე გამოაქვეყნეს.

### საკვლადგულ დღეინილაზ.

ქ. თბილისის, აგრედვე გორისა და თფლისის მავრების გენერალ-გუბერნატორისა.

თანახმად მე-19 მუხლის მებუთე განყოფილების წესწყობილებისა, შესახებ იმ ადგილებისა სადაც საშუალო წესებია გამოცხადებული ამოდ ვაცხადებთ.

1  
სოხების რესპუბლიკის მოქალაქენი და აგრედვე ბორჩალოს მავრაში მტრის ჯარებისაგან დაკავებულ ადგილებში მცხოვრებნი ჯარში გასაწვევ მასაკისანი (18 — 25 წ.), რომელნიც-ც სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულნი არიან საშუალო ტყვეებად.

2  
ზემოხსენებულ მასაკის პირნი ამ დებულების გამოქვეყნებიდან 24 საათში იკრიბებიან ადგილობრივ კომისარიატში, აქედან იგზავნებიან სათანადო საშუალო მავრის უფროსის სამხართველოში გარდასაცემით საშუალო უწყებისადმი, თანახმად წესებისა, რომლებიც ინიშნებიან „საშუალო ტყვეთა დებულებაში“ გამოქვეყნებულ საშუალო უწყების ბრძანებაში რუსეთის სახელმწიფოისა 1914 წ. — № 697. შემდეგ შესწორებით საშუალო უწყებისადმი ბრძანებისა 1916 წ.

3  
ის პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებებს, მიჩნეული იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მტრებად დატუსაღებულ იქნებიან და მათ ავლა დიდებას მოეცევიან თანახმად მიღებულ კანონმდებლობისა საქართველოს პარლამენტისადმი ამა 24 ქრისტეშობისთვის 1918 წ.

4  
თბილისის მილიციის უფროსს სამხარო და სასოფლო კომისარებს ვეალებათ იკონიონ ამ დებულების შესრულებაზე ჯეროვანი ყურადღება და ყოველ ამ ვალდებულების დამრღვეველ პირების ვინაობა დაუყონებლივ მომახსენონ მე.

გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე